F 171
1966

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

Министерства просвещения Грузинской ССР

**11-12**

ნოემბერი—დეკემბერი
(1966 წ.)

თბილისი — 1966

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 17 ნოემბრის ბრძანება № 1282

### 1965/1966 სასწავლო წელს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ 1965—1966 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა კარგი მომზადება გამოამჟღავნა, წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში—1015 კაცი, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში—1525, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში—250, ა. ს. პუშკინის სახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში—205, სამედიცინო ინსტიტუტში—390, ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში—80, სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში—119, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში—163, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში—120, ერევნის სხვადასხვა ინსტიტუტებში—73 და სხვა.

გასულ სასწავლო წელს განათლების სამინისტრომ სკოლები და განათლების ადგილობრივი ორგანოები, მკაცრად გააფრთხილა და მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა, რათა ობიექტურად შეეფასებინათ მოსწავლეთა ცოდნა, მაგრამ საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა ერთი ნაწილი მაინც დაუმსახურებლად დაჯილდოვდა ოქროსა და ვერცხლის მედლით.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ახალქალაქის (დირექტორი ვ. მანუკიანი), ახალქალაქის რაიონის ხანდოს (დირექტორი ს. ზურნაჩიანი), დილისკარის (დირექტორი თ. კარახანიანი), არაგვას (დირექტორი ვ. დავითიანი), ცხინვალის 1-ლი (დირექტორი ვ. კასრაძე), ტყიბულის მე-2 (დირექტორი [illegible] ბოჭორიშვილი), ბოგდანოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კის რაიონის სათხის (დირექტორი ვ. ჰამბარიანი), ეშტის (ყოფილი დირექტორი ო. გრაფსკი), გონდურის (დირექტორი გ. ოგანესია-ნი), განძის (დირექტორი ვ. დურგარიანი), თბილისის 85-ე (დირექ-ტორი კ. შარაშიძე) საშუალო სკოლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა ცოდნის ობიექტურად შეფასების საქმეში სკო-ლებს არადამაკმაყოფილებელი კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიეს ახალქალაქის (გამგე ვ. კარახანიანი), ბოგდანოვკის (გამგე გ. თომასიანი), ზუგდიდის (გამგე მ. ნარმანია), გეგეჭკორის (გამგე შ. ცანავა), წყალტუბოს (გამგე ი. მელაძე), ჩოხატაურის (გამგე მ. კეკელიძე), გალის (გამგე ლ. სოსელია), წულუკიძის (გამგე გ. თევ-დორაძე), ქ. სოხუმის (გამგე ლ. უჩანეიშვილი) განათლების განყო-ფილებებმა.

საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა ცოდნის შეფასე-ბაში მოუთმენელი ლიბერალიზმისა და უპასუხისმგებლობის და-შვებისათვის

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გაუქმდეს საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოს დად-გენილებანი ნ. მ. მიქელაძის (ხულოს რაიონი, ხიხაძირის საშუალო სკოლა, დირექტორი და საგნის მასწავლებელი ი. იზნელი), ლ. უ. ჯავახიძის (წყალტუბოს რაიონი, მაღლაკის საშუალო სკოლა, დი-რექტორი რ. ღაჭავა, საგამოცდო კომისიის თავ-რე და საგნის მას-წავლებელი შ. ბაღათურია), ა. ი. ყუფარაძის (წყალტუბოს რაიო-ნი, საყულიის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. სვანიძე, მასწავლე-ბელი ა. ლომიძე), გ. შ. ციბაძის (თბილისის 58-ე საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ლომსაძე, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე ს. კაკულია, მასწავლებელი გ. სირბილაძე), ლ. კ. კობახიძის (ამბრო-ლაურის რაიონი, ხოტევის საშუალო სკოლა, დირექტორი ტ. გურ-გენიძე, მასწავლებელი გ. ჯმუხაძე), რ. მ. შენგელიას (ცხაკაიას მე-5 საშ. სკოლა, დირექტორი ა. გოგინავა, მასწავლებელი ვ. ჭაა-ვა), ვ. ა. კოპალიანისა და თ. შ. ბაკურაძის (ბოლნისის ქართული საშუალო სკოლა, დირექტორი ზ. ბარათაშვილი, მასწავლებელი შ. ბაკურაძე), ნ. მ. ბერძულიშვილის (ტყიბულის მე-6 საშუალო სკო-ლა, დირექტორი რ. მხეცაძე, მასწავლებელი ლ. გოლოძე), მ. ა. ჩაჩიბაიას (აბაშის 1-ლი საშუალო სკოლა, დირექტორი კ. თოფუ-რია, საგამოცდო კომისიის თავ-რე ა. ფირცხალავა, მასწავლებელი მ. მელაძე), ლ. ს. ქირიასა და ლ. ა. გოგიას (გულრიფშის რაიონი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბაბუშერის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. შენგელია, მასწავლებელი გ. ქვარცხავა), მ. ა. სიჭინავას (სოხუმის მე-17 საშუალო სკოლა, დირექტორი შ. ლასურია, საგამოცდო კომისიის თავ-რე კ. ტორუა, მასწავლებელი შ. ჯანჯღავა), ე. ა. ხაჩატუროვას (თბილისის 84-ე საშუალო სკოლა, დირექტორი პ. შუბითიძე, მასწავლებელი ზ. ჯაფარიძე), ლ. ნ. ქუმარტოვას, ე. ა. ბაციკიძის და ი. ბ. კახნიაშვილის (ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. კასრაძე, საგამოცდო კომისიის თავ-რე თ. რუხაძე, მასწავლებლები ლ. ჩლაჩიძე და ნ. ფილიევი), კ. გ. ბარბაქაძის (ორჯონიკიძის რ-ნი, ბორითის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. მუმლაძე, მასწავლებელი მ. კურტანიძე), ქ. ი. აგრანატის (თბილისის მუშა-ახალგაზრდობის 22-ე საშუალო სკოლა, ყოფილი დირექტორი გ. ძნელაძე, საგამოცდო კომისიის თავ-რე და მასწავლებელი ზ. ხავთასი), ვ. ვ. ხერგიანის (გალის რ-ნი, ჭუბურხინჯის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. აქირთავა, მასწავლებელი ი. აქირთავა), ვ. გ. ყურაშვილის (გარდაბნის რაიონი, სამგორის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. მეფისაშვილი, საგამოცდო კომისიის თავ-რე ვ. ჩაჩიბაია, მასწავლებელი მ. კაკაშვილი), ა. ა. მჟავანაძის (ბათუმის მუშა ახალგაზრდობის მე-6 საშუალო სკოლა, დირექტორი ი. მარაქველიძე, მასწავლებელი ც. კუკულაძე) გ. გ. კეშელავას (ჩოხატაურის რ-ნი, კოხნარის სკოლა-ინტერნატი, დირექტორი ი. ცხოიძე, მასწავლებელი გ. კვაჭანტირაძე), შ. ვ. ბახტაძის (შუა ხევის რაიონი, ტბეთის საშუალო სკოლა, დირექტორი ლ. წულუკიძე, მასწავლებელი თ. ჯაფარიძე), ე. ბ. ცინცაძის (სამტრედიის რაიონი, ოფეთის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. ნადირაძე, მასწავლებელი ი. ოობიძე), ბ. ბ. კაპანაძის (ახალციხის 1-ლი საშ. სკოლა, დირექტორი ჟ. არჩილაძე, მასწავლებელი გ. მელიქიძე), თ. მ. არზიანის (გეგეჭკორის რაიონი, აბედათის საშუალო სკოლა, დირექტორი ი. ცანავა, მასწავლებელი მ. კოკაია), მ. ნ. კულიჯანოვასა და ლ. ა. გაგნიძის (ხაშურის რაიონი, ალის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ნოზაძე, საგამოცდო კომისიის თავ-რე ნ. მარტინენკო, მასწავლებელი მ. ლაცაბიძე), ს. ს. ინჯგიას (გეგეჭკორის რაიონი, სერგიეთის საშუალო სკოლა, დირექტორი შ. სიგუა, მასწავლებელი პ. სურმავა), ზ. ბ. თოდრიას (ზუგდიდის რაიონი, კორცხელის საშუალო სკოლა, დირექტორი დ. ჭურღულია, მასწავლებელი ი. ქობალია), ა. ა. ქრელაშვილის (მაიაკოვსკის რაიონი, დიმის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. თავხელიძე, საგამოცდო კომისიის თავ-რე გ. კოხოძე,

მასწავლებელი ვ. ჭრელაშვილი), გ. ი. დავიდოვის (მაიაკოვსკის საშუალო სკოლა, დირექტორი პ. ჩიქვინიძე, საგამოცდო კომისიის თავ-რე ს. ენდელაძე, მასწავლებელი ვ. წითაძე), მ. ვ. ლიპარტელიანის (ლენტეხის საშუალო სკოლა, დირექტორი ს. მუსელიანი, მასწავლებელი დ. ონიანი), ზ. თ. მარუაშვილის (თერჯოლის რ-ნი, ალისუბნის საშუალო სკოლა, დირექტორი კ. გიორგაძე, მასწავლებელი ნ. გიგაშვილი), ზ. გ. რევიშვილის (თბილისის მე-4 საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ქურიძე, საგამოცდო კომისიის თავ-რე კ. გვაზავა, მასწავლებელი ე. ამირანაშვილი), მ. მ. შაქარაშვილისა და ს. ბ. ლამაზაშვილის (თბილისის 85-ე საშუალო სკოლა, დირექტორი კ. შარაშიძე, მასწავლებელი ლ. ხუხია), რ. ა. პერტაიას (გულრიფშის რაიონი, დრანდის სკოლა-ინტერნატი, დირექტორი გ. თოდუა, მასწავლებელი პ. ესებუა), თ. ი. გიქოშვილის (მარნეულის რაიონი, თამარისის საშუალო სკოლა, დირექტორი ი. გიქოშვილი, მასწავლებელი ს. ტენტესიანი), ა. ი. ყუფარაძის (წყალტუბოს რაიონი, საყულიის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. სვანიძე, მასწავლებელი ა. ლომიძე), ლ. შ. ცხვარაძის (ვანის რაიონი, ყუმურის საშუალო სკოლა, დირექტორი ი. ულრელიძე, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე რ. თვალაბეიშვილი, მასწავლებელი ო. ჯულაყიძე), ა. თუშიშვილის (თელავის მე-5 საშუალო სკოლა, დირექტორი ქ. ანდრონიკაშვილი, მასწავლებელი თ. მოლაშვილი), მ. დ. დეკანოიძის (საჩხერის რაიონი, მერჯევის საშუალო სკოლა, დირექტორი პ. მარგველაშვილი, მასწავლებელი პ. გრძელიშვილი), გ. გ. კობეშავიძის (წულუკიძის რაიონი, მათხოჯის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. უგულავა, მასწავლებელი ა. უგულავა) ნ. ვ. ჭავჭანიძის (წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლა, დირექტორი კ. ცაცია, მასწავლებელი ლ. ჭავჭანიძე), ც. გ. ხვადაგიანის (თბილისის 130-ე საშუალო სკოლა, დირექტორი მ. გიორგაძე, მასწავლებელი ა. გოგრაშვილი), ვ. ჩანადირის (დუშეთის რაიონი, ჭადიჯვრის საშუალო სკოლა, დირექტორი ი. ველთაური, საგამოცდო კომისიის თავ-რე კ. ჟღენტი, მასწავლებელი კ. ხალაური), ნ. ლ. კვარაცხელიას (ჩხოროწყუს საშუალო სკოლა, დირექტორი ი. ახალაია, საგამოცდო კომისიის თავ-რე მ. მალანია, მასწავლებელი თ. პერტაია), თ. ა. ჩოხელის (დუშეთის 1-ლი საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ტუნტურიშვილი, მასწავლებელი ც. კვარაცხელია), რ. გ. ღირდალაძის (ჩოხატაურის რაიონი, საჭამიასერის საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. ჭკუასელი, მასწავლებელი ა. ჩხიკვაძე), თ. ვ. კვატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიძის (თბილისის მუშა ახალგაზრდობის 28-ე საშუალო სკოლა, დირექტორი გ. რამიშვილი, მასწავლებელი თ. ქუთათელაძე), პ. გაბრელიანის, ფ. ქოსიანისა და ნ. კაროიანის (ახალქალაქის რაიონი, დილისკის საშუალო სკოლა, დირექტორი თ. კარახანიანი, მასწავლებელი ა. ქოსიანი), ბ. დავთიანისა და ლ. მეროიანის (ახალქალაქის რაიონი, არაგვას საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. დავთიანი, მასწავლებელი დ. ჰამბარიანი), გ. გუკასიანისა და ა. მაჰტეკიანის (ახალქალაქის 1-ლი საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. მანუკიანი, მასწავლებლები კ. კაროიანი და ს. უნანიანი), ვ. კაროიანის, ს. ნაზარიანისა და ჯ. შირინიანის (ბოგდანოვკის რაიონი, გონდურის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. ოვანესიანი, მასწავლებლები კ. პეტროსიანი და მ. თათეოსიანი), სიმონიანისა და ს. ჰამბარიანის (ბოგდანოვკის რაიონი, სათხის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ჰამბარიანი, მასწავლებლები შ. მენდელიანი, ვ. ჰამბარიანი), ვ. მარქარიანის (გაგრის რაიონი, ბალნარის საშუალო სკოლა, დირექტორი მ. ფილოსიანი, მასწავლებელი ს. მარქარიანი), ს. თაზაიანის ბოგდანოვკის საშუალო სკოლა, დირექტორი ი. პოლოსიანი, მასწავლებელი მ. ოგანესიანი), ზ. ქოლიანის, ს. სიმონიანისა და ვ. გომციანის (ბოგდანოვკის რაიონი, ეშტის საშუალო სკოლა, ყოფილი დირექტორი ო. გრაფსკი, მასწავლებელი გ. ანტონიანი), ს. არევიანის (ახალქალაქის რაიონი, ორჯის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ოკოჯიანი), ლ. კარსლიანის (ბოგდანოვკის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ვართაპეტიანი), თ. ღარიბიანის, ჰ. ღაზარიანისა და ზ. მოსესიანის (ბოგდანოვკის რაიონი, განძის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. დურგარიანი), გ. მოსოიანის (ახალციხის მე-3 საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. მხითარიანი, მასწ. ტ. ჩოლახიანი) ნ. ა. როინიშვილის (ტყიბულის მე-4 საშუალო სკოლა, დირექტორი დ. მარუაშვილი, მასწავლებელი ე. გვეტაძე), მ. ლ. ლომთათიძის (ბათუმის მე-14 საშუალო სკოლა, დირექტორი ზ. კომახიძე, მასწავლებელი ა. გოთუა), დ. გ. აბრამიშვილის (წითელწყაროს რაიონი, ქვემო ქედის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. დათულაშვილი, მასწავლებელი ი. რაზიკაშვილი), ნ. ნ. ჭიჭინაძის (წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლა, დირექტორი ს. მხეიძე, საგამოცდო კომისიის თავ-რე მ. კვიმსაძე), ა. გრიგორიანის (თბილისის 93-ე საშუალო სკოლა, დირექტორი ა. არუთინიანი, მასწავლებელი პ. იაზიჩიანი), ნ. ვ. სოფრომაძის ტყიბულის მე-5 საშუალო სკოლა, დირექტორი კ. ბრეგვაძე, მასწავლებელი ე. კილაძე), პ. შ. გაბეჩა-

ვას (ბათუმის მე-3 საშუალო სკოლა-ინტერნატი, დირექტორი ნ. დიასამიძე, მასწავლებელი ი. ბოჭორიშვილი), ლ. აკოფიანის (ახალქალაქის სკოლა-ინტერნატი დირექტორი ვ. ვართანიანი, მასწავლებელი რ. კარახანიანი), ი. მელიქიანის (ახალქალაქის რაიონი, ალასტნის საშუალო სკოლა, დირექტორი ს. სიმავარიანი, მასწავლებელი ს. სიმავარიანი), მ. მელიქიანის, ა. პაპოიანის, ვ. პაპაიანის (ახალქალაქის რაიონი, ხანდოს საშუალო სკოლა, დირექტორი ს. ზურნაჩიანი, მასწავლებელი ა იგითხანიანი), ნ. სურმელიანის (სოხუმის მე-9 საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ჯიდარიანი, მასწავლებელი ო. გასპარიანი), ე. მარტიროსიანის (ასპინძის რაიონი, დამალის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. იგითიანი), ნ. სანამიანის (თბილისის 21-ე საშუალო სკოლა, დირექტორი გ. ოვანესიანი, მასწავლებელი ე. მათეოსიანი), ა. ნ. ზანგურის (კასპის სკოლა-ინტერნატი, დირექტორი ვ. ალექსიძე, მასწავლებელი თ. პარკაძე), ე. დარფინიანის (თბილისის მე-40 საშუალო სკოლა, დირექტორი პ. გასპარიანი, მასწავლებელი ა. სარქისიანი), ნ. ა. მანელოვას (წალკის რაიონი, ჯინისის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. სეფოლოვი, საგამოცდო კომისიის თავ-რე ვ. იმჯევი, მასწავლებელი გ. ემინოვი) ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოების შესახებ და მათ მიეცეთ ჩვეულებრივი ნიმუშის ატესტატი.

2. უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდაზე არადამაკმაყოფილებელი შეფასების მქონე კურსდამთავრებულ მედალოსანთა ერთმა ნაწილმა განათლების სამინისტროში შემოწმების დროს ვერ გაამართლა სკოლაში მიღებული მაღალი ნიშნები და მხოლოდ საშუალო ცოდნა გამოამჟღავნა. ასეთებია: ლ. გიორგაძე (თბილისის მე-12 საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ჩეჩელაშვილი, მასწავლებელი ა. მელაძე), ნ. თ. შერვაშიძე (ქედის რაიონი, პირველი მაისის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ბეჟანიძე, მასწავლებელი გ. დევაძე), გ. გოლიაძე (თბილისის 112-ე საშუალო სკოლა, დირექტორი მ. გოგუაძე, მასწავლებელი გ. სიხაშვილი), დ. ლ. მელაშვილი (თბილისის მე-5 მუშა ახალგაზრდობის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. რუსიშვილი, მასწავლებელი თ. ზვიადაძე), ლ. ი. ქურთიშვილი (თბილისის 87-ე საშუალო სკოლა, დირექტორი მ. სვანიძე, საგამოცდო კომისიის თავ-რე მ. ჯიოშვილი, მასწავლებელი ი. მასხულია), ვ. მ. გოგიჩაიშვილი (თბილისის 85-ე საშუალო სკოლა, მასწავლებელი ნ. იაკობაშვილი), ვ. ა. ხარაძე (თბილისის 116-ე საშუალო სკოლა, დირექტორი მ. ფილიშვილი, მასწავლებელი ა. ჯღარკავა), გ. გ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლომიძე (თბილისის მე-3 საშუალო სკოლა, დირექტორი ლ. ღუდუშაური, მასწავლებელი ქ. წიქარიშვილი), ნ. ვ. ნავროზაშვილი და ლ. გ. რაზმაზიშვილი (თბილისის 117-ე საშუალო სკოლა, დირექტორი ა. კაპანაძე, მასწავლებელი ა. საფაროვი), ლ. გ. ბერიკაშვილი (გურჯაანის რ-ნი, ვეჯინის საშ. სკოლა, დირექტორი შ. ყალიბეგაშვილი, მასწ. ც. ხარიტონაშვილი), ნ. ს. ბერიევა (თბილისის მუშა ახალგაზრდობის 28-ე საშუალო სკოლა, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე მ. სიხარულიძე, მასწავლებელი ა. მამისთვალოვი), თ. გიოშვილი (თბილისის 71-ე საშუალო სკოლა, მასწავლებელი მ. ჭანტურიშვილი), მ. ლ. გუგულაშვილი (თბილისის მე-8 საშუალო სკოლა, დირექტორი ქ. ნახუცრიშვილი, მასწავლებელი მ. ბარდაველიძე), ს. ბ. ჯორბენაძე (თბილისის 67-ე საშუალო სკოლა, დირექტორი გ. ვალაშვილი, მასწავლებელი ვ. გუნავა), ლ. ა. ხინჩიკაშვილი (თბილისის მე-18 საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. შანიძე, საგამოცდო კომისიის თავ-რე ს. ერქომაიშვილი, მასწავლებელი ქ. ხანდოშვილი), ჯ. ა. ელიაძე (თბილისის მე-10 საშუალო სკოლა, ყოფილი დირექტორი ნ. ბასილაშვილი, საგამოცდო კომისიის თავ-რე გ. გელაშვილი, მასწავლებელი თ. დოლიძე), ე. სეროპიანი (თბილისის 59-ე საშუალო სკოლა, დირექტორი გ. შიშმანიანი, მასწავლებელი ა. მღებრიანი), ჟ. ელიბეკოვა (თბილისის 79-ე საშუალო სკოლა, დირექტორი გ. მადოიანი, მასწავლებელი ა. ანდრანიკიანი), რ. ხოჯოიანი (თბილისის 93-ე საშუალო სკოლა, მასწავლებელი გ. აბოვიანი), ა. სარქისოვა (თბილისის 35-ე საშუალო სკოლა, დირექტორი შ. დავითაია, მასწავლებელი ზ. ჯანელიძე), ლ. ოგანეზოვა (თბილისის 96-ე საშუალო სკოლა, დირექტორი ზ. რუხაძე, მასწავლებელი მ. ბეიატოვი), ი. ლ. ცომაია (აბაშის 1-ლი საშუალო სკოლა, საგამოცდო კომისიის თავ-რე და მასწავლებელი ა. ფირცხალავა), ა. გ. დანელია და ნ. ა. კუპრავა (გეგეჭკორის რაიონი, ლეხაინდრაოს საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. დანელია, მასწავლებელი ვ. კუპრავა), ლ. შ. ბართაია (გეგეჭკორის რაიონი, ნაგვაზაოს საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ბერია, მასწავლებელი ნ. ჯღარკავა), ვ. ვ. ღვინჯილია (გეგეჭკორის რაიონი, დიდიჭყონის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. ბეჭვაია, მასწავლებელი ნ. ქობალია), დ. გ. გრიგოლია (ცხაკაიას მე-5 საშუალო სკოლა), მ. ვ. ფოცხვერია (ცხაკაიას 1-ლი საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. კაკაშვილი, მასწავლებელი ზ. ნაფეტვარიძე), ე. ი. გულუა (სოხუმის მუშა ახალგაზრდობის მე-2 საშუალო სკოლა, დირექტორი რ. ჭაჭია, მას-

წავლებელი ლ. ჭავჭანიძე), რ. შ. ფელანგია (გალის რაიონი, ჭუბურხინჯის საშუალო სკოლა), რ. ვ. გელანტია (გალის რაიონი, ქვემო ბარღების საშუალო სკოლა, დირექტორი შ. ჩხეტია, მასწავლებელი ვ. კახიანი), გ. ვ. გამისონია (გალის მე-2 საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. ეზუგბაია; საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე პ. ემუხვარი, მასწავლებელი ო. გამისონია), დ. მ. ჭუბაბრია (გალის რ-ნი, ნაბაკევის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. ქურდაგია, მასწავლებელი ვ. შარია), რ. კალაიჯიანი (სოხუმის რაიონი, წებელდის საშუალო სკოლა, დირექტორი ა. კალაიჯიანი), რ. რ. ჯიქონაია (ზუგდიდის რაიონი, ახალი სოფლის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. ლუკავა, მასწავლებელი ნ. ჯოჯუა), შ. ა. ლურწკაია (ზუგდიდის მე-3 საშუალო სკოლა, დირექტორი მ. აფსანძე, მასწავლებელი ი. ქირია), ნ. შ. ვაშაკიშვილი (თელავის მე-2 საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. მაისურაძე, საგამოცდო კომისიის თავ-რე ნ. ნანობაშვილი, მასწავლებელი თ. მეზვრიშვილი), ს. გ. გაბრუაშვილი (გურჯაანის რ-ნი, ველისციხის საშუალო სკოლა, დირექტორი ი. ქიტოშვილი, მასწავლებელი ლ. აგულოვი), ნ. ფ. ხუციშვილი და მ. ლ. ხაჭაპურიძე (ყვარლის რ-ნი, შილდის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. მჭედლიშვილი, მასწავლებლები თ. ლომოური და მ. გოგიტაშვილი), ვ. ვ. გონაშვილი (წითელწყაროს რ-ნი, არბოშიკის საშუალო სკოლა, დირექტორი შ. მოლაშვილი, მასწავლებელი ვ. თარაშვილი), ნ. კ. ოსიტაშვილი და რ. გ. ბეგიაშვილი (ზნაურის საშუალო სკოლა, დირექტორი ც. გუჩმაზოვა, საგამოცდო კომისიის თავ-რე ვ. ფუხაევი, მასწავლებლები ნ. ფილიევი და კ. ოსიტაშვილი), დ. დ. მიქავა (გორის მე-6 საშუალო სკოლა, დირექტორი გ. გოზალიშვილი, საგამოცდო კომისიის თავ-რე კ. კავტუნოვა, მასწავლებელი ვ. ბესპალოვა), ა. ბერიკიანი, ო. სუქესიანი, კ. პეტროსიანი (ახალქალაქის 1-ლი საშუალო სკოლა), ჰ. ჩინავარიანი (ახალციხის მე-3 საშუალო სკოლა), დ. ს. ყირიმლიშვილი (თეთრიწყაროს რ-ნი, მანგლისის საშუალო სკოლა, დირექტორი ბ. სულაბერიძე, მასწ. მ. მეხრაძე), ზ. ს. გურჯიშვილი (ლაგოდეხის რ-ნი, ლელიანის საშ. სკოლა, დირექტორი კ. სხირტლაძე, საგამოცდო კომისიის თავ-რე მ. ცერცვაძე, მასწავლებელი ა. კვიტაშვილი), ე. შ. სირანაშვილი (კასპის 1-ლი საშუალო სკოლა, დირექტორი დ. ხუსკივაძე, მასწავლებელი მ. გახელაძე), ი. თიგიშვილი (გარდაბნის რ-ნი, სამგორის საშუალო სკოლა), ლ. ლ. კალანდარიშვილი (ბათუმის მე-9 საშუალო სკოლა, დირექტორი თ. მაჭუტაძე, მასწავ-

ლებელი ვ. ბოჭორიშვილი), თ. ს. ჟღენტი (ქედის რ-ნი მახუნცეთის საშუალო სკოლა, დირექტორი ი. ბასილაძე, მასწავლებელი ბ. გოგიტიძე), ა. ა. მოწყობილი (ბათუმის 1-ლი საშუალო სკოლა, დირექტორი დ. მახარაძე, მასწავლებელი ე. წერეთელი), ლ. კ. კურტანიძე (ორჯონიკიძის რ-ნი, ლორეშის საშუალო სკოლა, დირექტორი პ. იჩქიტიძე, მასწავლებელი შ. კიკნაძე), გ. ა. მუჯირი (მახარაძის რ-ნი, ანასეულის საშუალო სკოლა, დირექტორი ვ. თავდიშვილი, მასწავლებელი ა. ქასრაძე), ნ. ნ. ხარაიშვილი (მახარაძის მე-2 საშუალო სკოლა, დირექტორი გ. კალანდარიშვილი), ქ. ნ. მესხი (სამტრედიის მე-2 საშუალო სკოლა, დირექტორი ქ. სტურუა, მასწავლებელი ა. კილურაძე), შ. მ. მირილაშვილი (სამტრედიის რ-ნი, კულაშის საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. შენგელია, საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე პ. გალდავა, მასწავლებელი ს. ქვაბზირიძე), მ. ო. ხარძეიშვილი (სამტრედიის რ-ნი, ბაშის საშუალო სკოლა, დირექტორი ლ. თვალავაძე, საგამოცდო კომისიის თავ-რე ვ. ნაცვლიშვილი, მასწავლებელი ნ. გერაძე), ბ. გ. გიგინეიშვილი (სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლა, დირექტორი ს. ნინუა, მასწავლებელი ც. ვაშაკიძე), რ. ტ. მესხი (საჩხერის რ-ნი, საირხის საშუალო სკოლა, დირექტორი ბ. კაპანაძე, მასწავლებელი თ. ღულუნიშვილი), რ. ა. ძიძავა (წულუკიძის მე-3 საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ძიძავა, მასწავლებელი რ. შამათავა), ზ. ნ. რატიანი (წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლა, დირექტორი კ. ცაცია, მასწავლებელი ლ. ჭავჭანიძე), ც. ი. ჩეჩელაშვილი (წყალტუბოს რ-ნი, მაღლაკის საშუალო სკოლა, დირექტორი რ. ლაჭავა, მასწავლებელი ქ. გოგისვანიძე), ე. ი. ლალაძე (წყალტუბოს რ-ნი, ფარცხანაყანევის საშუალო სკოლა, დირექტორი ნ. მესხორაძე, მასწავლებელი მ. გოგიძე), ვ. ს. იოსელიანი და ა. ა. ქუთათელაძე (წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლა), ვ. ლ. ლომთაძე (წყალტუბოს რ-ნი, დღნორისის საშუალო სკოლა, დირექტორი გ. მანაგაძე, მასწავლებელი თ. ლომთაძე), ზ. გ. სიხარულიძე (ჩოხატაურის რ-ნი, შუაგანახლების საშუალო სკოლა, დირექტორი ს. ჯიბუტი, მასწავლებელი ც. ბერეკაშვილი), გ. რ. კირკიტაძე და ნ. ვ. ჯაფარიძე (ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლა, დირექტორი ა. ბოჭორიშვილი, საგამოცდო კომისიის თავ-რე ე. ნემსაძე, მასწავლებელი ლ. უკლება).

3. მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლის, მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისა და დაბალი მომზადების მქონე კურსდამთავრებულთა გამოშვებისათვის ახალქალაქის რ-ის

ხანდოს საშუალო სკოლის დირექტორი ს. ზურნაჩიანი და ბოგდანოვკის რ-ის განძის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. დურგარიანი მოიხსნან თანამდებობიდან.

მიღებულ იქნეს ცნობად, რომ ბოგდანოვკის რაიონის ეშტის საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი ო. გრაფსკი, რომელიც მოხსნას იმსახურებს, განთავისუფლებულია სამუშაოდან.

4. მასწავლებელთა მუშაობაზე არადამაკმაყოფილებელი კონტროლისათვის დირექტორებს: ზ. ბარათაშვილს (ბოლნისის ქართული საშუალო სკოლა), ვ. შენგელიას (გულრიფშის რ-ნი, ბაბუშერას საშუალო სკოლა), ვ. კასრაძეს (ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა), ა. ნოზაძეს (ხაშურის რ-ნი, ალის საშუალო სკოლა), კ. შარაშიძეს (თბილისის 85-ე საშუალო სკოლა), გ. ოგანესიანს (ბოგდანოვკის რ-ნი, გონდურის საშუალო სკოლა), ვ. დავთიანს (ახალქალაქის რ-ნი, არაგვას საშუალო სკოლა), ი. ახალაიას (ჩხოროწყუს საშუალო სკოლა), ვ. მანუკიანს (ახალქალაქის 1-ლი საშუალო სკოლა), ვ. ჰამბარიანს (ბოგდანოვკის რ-ნი, სათხის საშუალო სკოლა), ო. კარახანიანს (ახალქალაქის რ-ნი, დილისკის საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

5. მასწავლებელთა მუშაობაზე სუსტი კონტროლისათვის დირექტორებს: ი. იშხნელს (ხულოს რ-ნი, ხიხაძირის საშუალო სკოლა), რ. ლაჭავას (წყალტუბოს რ-ნი, მაღლაკის საშუალო სკოლა), გ. სვანიძეს (წყალტუბოს რ-ნი, საყულიის საშუალო სკოლა), ვ. ლომსაძეს (თბილისის 58-ე საშუალო სკოლა), ტ. გურგენიძეს (ამბროლაურის რ-ნი, ხოტევის საშუალო სკოლა), პ. გოგინავას (ცხაკაიას მე-5 საშუალო სკოლა), რ. მხეცაძეს (ტყიბულის მე-6 საშუალო სკოლა), კ. თოფურიას (აბაშის 1-ლი საშუალო სკოლა), შ. ლასურიას (სოხუმის მე-17 საშუალო სკოლა), პ. შუბითიძეს (თბილისის 84-ე საშუალო სკოლა), გ. მუმლაძეს (ორჯონიკიძის რ-ნი, ბორითის საშუალო სკოლა), გ. ძნელაძეს (თბილისის მუშა ახალგაზრდობის 22-ე საშუალო სკოლა), ვ. აქირთავას (გალის რ-ნი, ჭუბურხინჯის საშუალო სკოლა), გ. მეფისაშვილს (გარდაბნის რ-ნი სამგორის საშუალო სკოლა), ი. მარაქველიძეს (ბათუმის მუშა ახალგაზრდობის მე-6 საშუალო სკოლა), ი. ცხოიძეს (ჩოხატაურის რ-ნი, კოხნარის სკოლა-ინტერნატი), ლ. წულუკიძეს (შუახევის რ-ნი, ტბეთის საშუალო სკოლა), გ. ნადირაძეს (სამტრედიის რ-ნი, ოფეთის საშუალო სკოლა), ჟ. არჩილაძეს (ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლა), შ. სიგუას (გეგეჭკორის რ-ნი, სერგიეთის საშუალო სკოლა), დ. ჭურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღულიას (ზუგდიდის რ-ნი, კორცხელის საშუალო სკოლა), გ. თავხელიძეს (მაიაკოვსკის რ-ნი, დიმის საშუალო სკოლა), პ. ჩიქვინიძეს (მაიაკოვსკის საშუალო სკოლა), ს. მუსელიანს (ლენტეხის საშუალო სკოლა), კ. გიორგაძეს (თერჯოლის რ-ნი, ალისუბნის საშუალო სკოლა), ა. ქურიძეს (თბილისის მე-4 საშუალო სკოლა), გ. თოდუას (გულრიფშის რაიონი, დრანდის სკოლა-ინტერნატი), ი. გიქოშვილს (მარნეულის რ-ნი, თამარისის საშუალო სკოლა), გ. სვანიძეს წყალტუბოს რაიონი, საყულიის საშუალო სკოლა), ი. ურელიძეს (ვანის რ-ნი, ყუმურის საშუალო სკოლა), ქ. ანდრონიკაშვილს (თელავის მე-5 საშუალო სკოლა), პ. მარგველაშვილს (საჩხერის რ-ნი, მერჯევის საშუალო სკოლა), ა. უგულავას (წულუკიძის რ-ნი, მათხოჯის საშუალო სკოლა), კ. ცაციას (წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლა), მ. გიორგაძეს (თბილისის 130-ე საშუალო სკოლა), ი. ველთაურს (დუშეთის რ-ნი, ჭადიჯვრის საშუალო სკოლა), ვ. ტუნტურიშვილს (დუშეთის 1-ლი საშუალო სკოლა), ი. ცანავას (გეგეჭკორის რ-ნი, აბედათის საშუალო სკოლა), ნ. ჭკუასელს (ჩოხატაურის რ-ნი, საჭამიასერის საშუალო სკოლა), გ. რამიშვილს (თბილისის მუშა ახალგაზრდობის 28-ე საშუალო სკოლა), მ. ფილოსიანს (გაგრის რ-ნი, ბაღნარის საშუალო სკოლა), ი. პოლოსიანს (ბოგდანოვკის საშუალო სკოლა), ვ. აკოჯიანს (ახალქალაქის რ-ნი, ორჯის საშუალო სკოლა), ა. ვართაპეტიანს (ბოგდანოვკის საშუალო სკოლა), ნ. მხითარიანს (ახალციხის მე-3 საშუალო სკოლა), დ. მარუაშვილს (ტყიბულის მე-4 საშუალო სკოლა), ზ. კომახიძეს (ბათუმის მე-14 საშუალო სკოლა), ა. დათუკაშვილს (წითელწყაროს რ-ნი, ქვემო ქედის საშუალო სკოლა), ო. მხეიძეს (წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლა), ა. არუთინიანს (თბილისის 93-ე საშუალო სკოლა), კ. ბრეგვაძეს (ტყიბულის მე-5 საშუალო სკოლა), ი. დიასამიძეს (ბათუმის მე-3 სკოლა-ინტერნატი), ვ. ვართანიანს (ახალქალაქის სკოლა-ინტერნატი), ს. სიმავარიანს (ახალქალაქის რ-ნი, ალასტნის საშუალო სკოლა), ა. ჯიდარიანს (სოხუმის მე-9 საშუალო სკოლა), ი. იგითიანს (ასპინძის რ-ნი, დამალის საშუალო სკოლა), გ. ოვანესიანს (თბილისის 21-ე საშუალო სკოლა), პ. გასპარიანს (თბილისის მე-40 საშუალო სკოლა), გ. სეფილოვს (წალკის რ-ნი, ჯინიშის საშუალო სკოლა), ა. ალექსიძეს (კასპის სკოლა-ინტერნატი), დირექტორის მოადგილეებს სასწავლო მუშაობის დარგში და საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეებს: შ. ბალათურიას (წყალტუბოს რ-ნი, მაღლაკის საშუალო სკოლა), ს. კაკულიას (თბილისის 58-ე საშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლა, ა. ფირცხალავას (აბაშის 1-ლი საშუალო სკოლა), [illegible]რუას (სოხუმის მე-17 საშუალო სკოლა), თ. რუხაძეს (ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა), ზ ხავთასს (თბილისის მუშა ახალგაზრდობის 22-ე საშუალო სკოლა), გ. ჩაჩიბაიას (გარდაბნის რ-ნი, სამგორის საშუალო სკოლა), ნ. მარტინენკოს (ხაშურის რ-ნი, ალის საშუალო სკოლა), გ. კოხოძეს (მაიაკოვსკის რ-ნი, დიმის საშუალო სკოლა), ს. ენდელაძეს (მაიაკოვსკის საშუალო სკოლა), კ. გვაზავას (თბილისის მე-4 საშუალო სკოლა), რ. თვალაბეიშვილს (ვანის რ-ნი, ყუმურის საშუალო სკოლა), კ. ჟღენტს (დუშეთის რ-ნი, ჭადიჯვრის საშუალო სკოლა), მ. მალანიას (ჩხოროწყუს საშუალო სკოლა), მ. კვიმსაძეს (წყალტუბოს 1-ლი საშუალო სკოლა), ს. ანჯელიანს (ახალციხის მე-3 საშუალო სკოლა), ჰ. თარალმაზიანს (ახალქალაქის საშუალო სკოლა), მ. შირინიანს (ბოგდანოვკის რაიონი, გონდურის საშუალო სკოლა), ვ. იმჯიევს (წალკის რ-ნი, ჯინისის საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ საყვედური.

6. საგნის არადამაკმაყოფილებელი სწავლებისა და მოსწავლეთა ცოდნის ლიბერალურად შეფასებისათვის მასწავლებლებს შ. ბალათურიას (წყალტუბოს რაიონი, მაღლაკის საშუალო სკოლა), ა. ლომიძეს (წყალტუბოს რ-ნი, საყულიის საშუალო სკოლა), გ. სირბილაძეს (თბილისის 58-ე საშუალო სკოლა), გ. ჯმუხაძეს (ამბროლაურის რ-ნი, ხოტევის საშუალო სკოლა), ვ. ჭაავას (ცხაკაიას მე-5 საშუალო სკოლა), შ. ბაკურაძეს (ბოლნისის ქართული საშუალო სკოლა), ლ. გოლაძეს (ტყიბულის მე-6 საშუალო სკოლა), მ. მელაძეს (აბაშის 1-ლი საშუალო სკოლა), გ. ქვარცხავას (გულრიფშის რ-ნი, ბაბუშერის საშუალო სკოლა), შ. ჯანჯღავას (სოხუმის მე-17 საშუალო სკოლა), ბ. ჯაფარიძეს (თბილისის 84-ე საშუალო სკოლა), ლ. ჩლაიძესა და ნ. ფლიევს (ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლა), მ. ყურტანიძეს (ორჯონიკიძის რ-ნი, ბორითის საშუალო სკოლა), ი. აქირთავას (გალის რ-ნი, ჭუბურხინჯის საშუალო სკოლა), მ. კაკაშვილს (გარდაბნის რ-ნი, სამგორის საშუალო სკოლა), ც. კუკულაძეს (ბათუმის მ/ა მე-6 საშუალო სკოლა), გ. კვაჭანტირაძეს (ჩოხატაურის რ-ნი კოხნარის სკოლა-ინტერნატი), თ. ჯაფარიძეს (შუახევის რ-ნი, ტბეთის საშუალო სკოლა), ი. იობიძეს (სამტრედიის რ-ნი, ოფეთის საშუალო სკოლა), გ. მელიქიძეს (ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლა), მ. ლაცაბიძეს (ხაშურის რ-ნი, ალის საშუალო სკოლა), პ. სურმავას გეგეჭკორის რ-ნი, სერგიეთის საშუალო სკოლა), ი. ქობალიას (ზუგდიდის რ-ნი, კორცხელის საშუალო სკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა), ა. ჭრელაშვილს (მაიაკოვსკის რ-ნი, დიმის საშუალო სკოლა), ვ. წითაძეს (მაიაკოვსკის საშუალო სკოლა), დ. ონიანს (ლენტეხის საშუალო სკოლა), გ. გიგაშვილს (თერჯოლის რ-ნი, ალისუბნის საშუალო სკოლა), ვ. ამირანაშვილს (თბილისის მე-4 საშუალო სკოლა), ლ. ხუხიას (თბილისის 85 ე საშუალო სკოლა), პ. ესებუას (გულრიფშის რ-ნი დრანდის სკოლა-ინტერნატი), ს. ტენტესიანს (მარნეულის რ-ნი, თამარისის საშუალო სკოლა), ა. ლომიძეს (წყალტუბოს რ-ნი, საყულიის საშუალო სკოლა), ო. ჯულაყიძეს (ვანის რ-ნი, ყუმურის საშუალო სკოლა), თ. მოლაშვილს (თელავის მე-5 საშუალო სკოლა), პ. გოძელიშვილს (საჩხერის რ-ნი, მერჯევის საშუალო სკოლა), შ. მხეიძეს (წულუკიძის რ-ნი, მათხოჯის საშუალო სკოლა), ლ. ჭავჭანიძეს (წულუკიძის 1-ლი საშუალო სკოლა), ა. გოგრაშვილს (თბილისის 130-ე საშუალო სკოლა), ვ. ხალაურს (დუშეთის რ-ნი, ჭადიჯვრის საშუალო სკოლა), თ. პერტაიას (ჩხოროწყუს საშუალო სკოლა), ც. კვარაცხელიას (დუშეთის 1-ლი საშუალო სკოლა), ა. ჩხიკვაძეს (ჩოხატაურის რ-ნი, საჭამიასერის საშუალო სკოლა), თ. ქუთათელაძეს (თბილისის მ/ა 28-ე საშუალო სკოლა), ა. ქოსიანს (ახალქალაქის რ-ნი, დილისკის საშუალო სკოლა), დ. ჰამბარიანს (ახალქალაქის რ-ნი, არაგვას საშუალო სკოლა), მ. კოკაიას (გეგეჭკორის რ-ნი აბედათის საშუალო სკოლა), ლ. კაროიას და ს. უნანიანს (ახალქალაქის 1-ლი საშუალო სკოლა), კ. პეტროსიანსა და მ. თათეოსიანს (ბოგდანოვკის რ-ნი, გონდურის საშუალო სკოლა), შ. მენდელიანსა და ვ. ჰამბარიანს (ბოგდანოვკის რ-ნი, სათხის საშუალო სკოლა), ტ. ჩოლარიანს (ახალციხის მე-3 საშუალო სკოლა), ს. მარქარიანს (გაგრის რ-ნი, ბალნარის საშუალო სკოლა), გ. ოვანესიანს (ბოგდანოვკის საშუალო სკოლა), გ. ანტონიანს (ბოგდანოვკის რ-ნი, ეშტის საშუალო სკოლა), ე. გვეტაძეს (ტყიბულის მე-4 საშუალო სკოლა), ა. გოთუას (ბათუმის მე-14 საშუალო სკოლა), ი. რაზიკაშვილს (წითელწყაროს რ-ნი, ქვემო ქედის საშუალო სკოლა), პ. იაზიჩიანს (თბილისის 93-ე საშუალო სკოლა), ე. კილაძეს (ტყიბულის მე-5 საშუალო სკოლა), ი. ბოჭორიშვილს (ბათუმის მე-3 საშუალო სკოლა), რ. კარახანიანს (ახალქალაქის სკოლა-ინტერნატი), ს. სიმავორიანს (ახალქალაქის რ-ნი, ალასტნის საშუალო სკოლა), ი. იგითხანიანს (ახალქალაქის რ-ნი, ხანდოს საშუალო სკოლა), ო. გასპარიანს (სოხუმის მე 9 საშუალო სკოლა), ე. მათეოსიანს (თბილისის 21-ე საშუალო სკოლა), ა. სარ-

ქისიანს (თბილისის მე-40 საშუალო სკოლა), თ. პარკაძეს (კასპის სკოლა-ინტერნატი), გ. ემინოვას (წალკის რ-ნი, ჯინისის საშუალო სკოლა) გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) 1966 წლის პირველ დეკემბრამდე უზრუნველყონ ბრძანებაში აღნიშნულ კურსდამთავრებულთა გაუქმებული ოქროსა და ვერცხლის მედლების ნიმუშის ატესტატის დაბრუნება განათლების სამინისტროში და მათ ნაცვლად ჩვეულებრივი ატესტატის მიღება;

ბ) დასახელებულ სკოლებში საფუძვლიანად შეისწავლონ სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, შედეგები განიხილონ კოლეგიისა და განათლების საბჭოს სხდომებზე, დასახონ და გაატარონ ქმედითი ღონისძიებანი მოსწავლეთა მომზადების დონის ასრსებითად გაუმჯობესებისათვის;

გ) გაათავისუფლონ სათანადო წესის დაცვით ანდა გადაიყვანონ უფრო დაბალ სამუშაოზე ის მასწავლებლები და სკოლის ხელმძღვანელები, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებას. ამ მხრივ გატარებულ ღონისძიებათა შესახებ აცნობონ განათლების სამინისტროს 1967 წლის პირველ სექტემბრამდე.

8. ეს ბრძანება განხილულ იქნას რესპუბლიკის ყველა საშუალო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე და დაისახოს სათანადო ღონისძიებანი სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

9. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველომ (დ. ჯავახია) და საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების სამმართველომ (რ. კანდელაკი), სკოლა-ინტერნატების სამმართველომ (ვ. ჩინჩალაძე):

ა) სასწავლო წლის მეორე ნახევარში შეისწავლონ წყალტუბოს, ტყიბულის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ზუგდიდის, სამტრედიის, გეგეჭკორის რაიონებისა და ცხინვალის 1-ლი საშუალო სკოლების მუშაობა და შედეგები მოახსენონ კოლეგიის;

ბ) საგაზაფხულო გამოცდების პერიოდში მიავლინონ სასკოლო ინსპექტორები ამ ბრძანებაში აღნიშნულ რაიონებში გამოც-

დების მიმდინარეობაზე სათანადო კონტროლის დასაწესებლად.

10. ბრძანების ტექსტი გამოქვეყნდეს გაზეთ „სახალხო განათლებაში“.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 14 ოქტომბრის კოლეგიის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი თ. **ლაშქარაშვილი**

F-3061.

მარქსის სახ. საქ. სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვამტკიცებ
საქართველოს სსრ განათლების მინისტრი
თ. ლაშქარაშვილი
21 ნოემბერი 1966 წ.

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტის

# დებულება

### I. კაბინეტის ამოცანები

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი წარმოადგენს მეთოდურ დაწესებულებას, არსებობს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლამდელი აღზრდის განყოფილებასთან და მუშაობს მისი ხელმძღვანელობით. იგი ეხმარება განათლების სამინისტროს საქართველოს სს რესპუბლიკაში ყველა უწყების საბავშვო ბაღებსა და ბაგა-ბაღებში აღზრდის შინაარსის, ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაში.

2. სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტი მჭიდრო კავშირშია პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით და მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტების სათანადო სექტორებთან და კაბინეტებთან.

3. კაბინეტთან არსებობს საბჭო, რომლის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო.

### II. კაბინეტის მუშაობის შინაარსი და ფორმები

მეთოდური კაბინეტი სწავლობს, განაზოგადებს და ავრცელებს საბავშვო ბაღების (ბაგა-ბაღი) აღმზრდელთა, გამგეების, რაიონების (ქალაქების) ინსპექტორებისა და მეთოდურ გაერთიანებათა მუშაობის საუკეთესო გამოცდილებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცდილების განზოგადების საფუძველზე ამუშავებს მეთოდურ რეკომენდაციებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი, შრომითი და ესთეტიკური აღზრდის საკითხებზე და განათლების სამინისტროს მიერ მოწონების შემდეგ უგზავნის მათ სკოლამდელ დაწესებულებებს.

5. პრაქტიკულ დახმარებას უწევს საბავშვო ბაღების, ბაგა-ბაღების გამგეებს, აღმზრდელებს, მუსიკის ხელმძღვანელებს და სხვა მუშაკებს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კომუნისტური აღზრდის საკითხებში.

6. კაბინეტი სწავლობს პარტიისა და მთავრობის დირექტივებს, სახელმძღვანელო მეთოდურ მითითებებს სკოლამდელი აღზრდის საკითხებზე, მასალებს სკოლამდელ დაწესებულებათა ინსპექტირების, მეთოდური კაბინეტების მუშაობის გამოცდილებიდან, აგრეთვე სხვადასხვა საცნობარო მასალას (ბიბლიოგრაფიული საძიებლები, ავეჯის ნახაზები, საბავშვო ბაღის, ბაგა-ბაღის, კაბინეტის მოწყობილობის სიები და სხვა). მოჰყავს ეს მასალა სისტემაში, მათ საფუძველზე ამუშავებს მეთოდურ და დამხმარე მასალებს, აშუქებს საბავშვო ბაღებისა და ცალკეულ მუშაკთა საუკეთესო გამოცდილებას ჟურნალებში, კრებულებსა და მონოგრაფიებში.

7. ამუშავებს მოსახლეობაში პედაგოგიური პროპაგანდის თემატიკას და სკოლამდელ დაწესებულებებს პრაქტიკულად ეხმარება მშობლებთან მუშაობაში.

8. რაიონების, ქალაქების სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორებისათვის, პედ. კაბინეტებისა და მეთოდგაერთიანებათა მუშაკთათვის, საბავშვო ბაღების, ბაგა-ბაღის გამგეებისა და აღმზრდელთათვის ატარებს თათბირებს, სემინარებს, პრაქტიკუმებს, ლექციებს, მოხსენებებს, კონსულტაციებს, (ჯგუფურს, ინდივიდუალურს, დასწრებულსა და დაუსწრებელს), აწყობს მოძრავ გამოფენებს რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში სკოლამდელი აღზრდის აქტუალურ საკითხებზე.

9. გზავნის თავის მეთოდისტებს რაიონების (ქალაქის) სკოლამდელ დაწესებულებებში, რაიონულ მეთოდკაბინეტებში მეთოდური დახმარების გასაწევად და გამოცდილების შესასწავლად.

10. საქმის სანიმუშოდ დაყენების მიზნით მეთოდური კაბინეტი თავის მუშაობაში იყენებს სკოლამდელი აღზრდის მცოდნე საუკეთესო აღმზრდელებისა და ხელმძღვანელი მუშაკების აქტივს, მტკიცე კავშირშია რაიონულ პედაგოგიურ კაბინეტებთან, აგრეთვე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იმ დაწესებულებებთან და საწარმოებთან, რომლებიც სკოლამდელ საქმეს განაგებენ.

11. სკოლამდელი აღზრდის მეთოდური კაბინეტი თავის სამუშაო გეგმას დასამტკიცებლად უდგენს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს.

12. ყველა მეთოდური მასალა, რასაც კაბინეტი ამუშავებს და ადგილებზე გზავნის, მტკიცდება განათლების სამინისტროს მიერ. განათლების სამინისტროს დასამტკიცებლად წარედგინება აგრეთვე დასაბეჭდად მომზადებული მასალა (კრებულები, დამხმარე სახელმძღვანელოები და სხვა).

## III. კაბინეტის ხელმძღვანელობა და შტატი

13. მეთოდური კაბინეტის სათავეში დგას კაბინეტის გამგე; მას ნიშნავს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი იმ პირთაგან, რომელთაც აქვთ სპეციალური უმაღლესი განათლება და სკოლამდელი აღზრდის დარგში პედაგოგიური და მეთოდური მუშაობის სტაჟი არა ნაკლებ სამი წლისა.

14. კაბინეტის ძირითადი თანამშრომლები არიან მეთოდისტები, რომელთაც უნდა ჰქონდეთ უმაღლესი განათლება და მუშაობის სტაჟი თავიანთ სპეციალობაში არა ნაკლებ სამი წლისა. მეთოდისტი ინიშნება განათლების მინისტრის ბრძანებით, კაბინეტის გამგის წარდგენის საფუძველზე.

15. კაბინეტის გამგე პასუხს აგებს განათლების სამინისტროს წინაშე მეთოდური, სამეურნეო და საფინანსო-მატერიალურ საქმიანობაზე.

16. კაბინეტის გამგეს ევალება: ა/კაბინეტის სამუშაო გეგმის შედგენა-დამტკიცება და მის შესრულებაზე კონტროლის დაწესება.

ბ) კაბინეტის ტექნიკური თანამშრომლების სამუშაოზე მიღება და დათხოვნა.

გ) მუშაობის შედეგების შესახებ სათანადო ანგარიშების შედგენა.

დ) კაბინეტის გამგე არის კრედიტების განმკარგულებელი და პასუხს აგებს სახსრების სწორად ხარჯვისათვის.

17. კაბინეტის მეთოდისტის მოვალეობაში შედის:

ა) რაიონებში გასვლა მისი სამუშაო გეგმის მიხედვით, მეთოდური დახმარების ორგანიზაცია იმ რაიონებისათვის, რომლებზედაც ის არის მიმაგრებული;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) სხვადასხვა ძირითადი საკითხების შესწავლა-დამუშავება სკოლამდელი პედაგოგიკის გარკვეული დარგის მიხედვით;

გ) კაბინეტში მორიგეობა მომსვლელთა მიღებისათვის დაწესებულ დროს და კაბინეტის სამუშაო გეგმით დაწესებული სხვა სათანადო სამუშაოების შესრულება.

დ) სემინარების, პრაქტიკუმებზე ხელმძღვანელობა, ინდივიდუალური, ჯგუფური კონსულტაციებისა და მოხსენებების ჩატარება.

## IV. კაბინეტის შტატი და ბიუჯეტი

18. სკოლამდელი აღზრდის რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი იმყოფება რესპუბლიკურ ბიუჯეტზე და ფინანსდება განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

19. კაბინეტის შტატს, არსებული წესის მიხედვით, ამტკიცებს განათლების სამინისტრო.

20. კაბინეტს აქვს ბეჭედი სახელმწიფო ღერბით და სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით.

21. კაბინეტის რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას აწარმოებს განათლების სამინისტრო საამისოდ არსებული კანონმდებლობის საფუძველზე.

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს**
**სკოლამდელი აღზრდის განყოფილება**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცირკულარული წერილი

21 ნოემბერი 1966 წ. № 1/308—1146/3 დ

**აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებსა და მინისტრთა საბჭოებთან არსებულ კინოფიკაციის სამმართველოების უფროსებს, მშრომელთა დეპუტატების სამხრეთ ოსეთის ა/ო და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კინოფიკაციის სამმართველოების უფროსებს და განათლების განყოფილებათა გამგეებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და სარაიონო საბჭოს აღმასკომების განათლებისა და კინოფიკაციის განყოფილებების გამგეებს**

საბჭოთა კინოხელოვნებამ შექმნა და ამჟამად კინემატოგრაფიის ფონდში არსებობს მრავალი სამეცნიერო-პოპულარული, ქრონიკალ-დოკუმენტური, სასწავლო, მხატვრული და მულტიპლიკაციური ფილმები, რომლებიც ასახავენ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების მიღწევებს. მრავალი საბჭოთა მხატვრული ფილმი მოგვითხრობს საბჭოთა და მსოფლიოს ხალხთა წარსულსა და დღევანდელ ცხოვრებაზე. რესპუბლიკის ფილმოფონდში მოიპოვება კინოსურათები, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევენ მოსწავლეებს ისეთი საგნების უკეთ ათვისებაში, როგორიც არის ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია, ზოოლოგია, ისტორია, ლიტერატურა და სხვა, მაგრამ ეს ფილმები სათანადოდ გამოყენებული არაა.

მოსწავლეები კინოსურათებს არაორგანიზებულად ესწრებიან, სკოლები ვერ უწევენ მათ საჭირო ხელმძღვანელობას, არ ხდება კინოფილმების განხილვა-გარჩევა.

რესპუბლიკის მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების, მათი მსოფლმხედველობის გაფართოებისა და პროგრამული მასალის გაღრმავება-განმტკიცებისათვის კინოს უკეთ გამოყენების მიზნით გავალებთ:

ა) დაავალოთ სკოლების დირექტორებს, მასწავლებლებს, სასკოლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, კინოთეატრის დირექტორებს და კინოდანადგარების ხელმძღვანელებს გააფართოონ საბავშვო კინოსეანსების ჩვენება და უზრუნველყონ ამ სეანსებზე მოსწავლეთა ორგანიზებული დასწრება.

განათლებისა და კინოფიკაციის განყოფილებებმა კინოგაქირავების სარაიონთაშორისო განყოფილებასთან ერთად შეადგინონ კინოფილმების თემატური პროგრამები, დაუკავშირონ ისინი სკოლების სასწავლო პროგრამებს და მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით მოაწყონ კინოსურათების დემონსტრირება;

ბ) შეისწავლოთ საკითხი და იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც რამდენიმე კინოთეატრია, გამოიყოს ერთი კინოთეატრი, სადაც მოეწყობა სპეციალური საბავშვო კინოსეანსები, ხოლო იმ ქალაქებსა და სოფლებში, სადაც მხოლოდ ერთი კინოთეატრი ან კინოდანადგარია, კინოსეანსები მოეწყოს დღის საათებში (საღამოს 6 საათამდე);

გ) იმ სკოლებში, სადაც არის სასკოლო კინოდანადგარები, მოეწყოს სასკოლო კინოსურათების დემონსტრირება და ნახული კინოფილმების ფართო განხილვა მოსწავლეთა შორის.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

კინემატოგრაფიის სახელმწიფო
კომიტეტის თავმჯდომარე
**შ. დ. კუპრავა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცირკულარულად

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

2/XI—1966 წ. № 9/1874

**სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებს**

**1966—67 სასწავლო წელს სალამოს (ცვლის) სკოლის ასტრონომიის პროგრამით სარგებლობისა და დღის სკოლიდან გადმოსულ მოსწავლეთა მიერ ასტრონომიის კურსის ჩაბარების შესახებ**

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ სალამოს (ცვლის) სკოლის X კლასის ასტრონომიის პროგრამით გათვალისწინებულ ყოველ გაკვეთილს მიმდინარე, 1966—67 სასწავლო წელს უნდა დაეთმოს ორი აკადემიური საათი. ამასთან მოსწავლეებს უნდა შეასწავლოთ ყველა გამოსატოვებელი და შესამცირებელი საკითხები, რომლებიც თან ერთვის პროგრამას.

1966—67 სასწავლო წელს სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების XI კლასში ასტრონომია არ ისწავლება, ამიტომ დღის სკოლების X კლასის მოსწავლეებმა, რომლებიც მუშაობის დაწყების გამო სწავლას აგრძელებენ სალამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების XI კლასებში, ზემოაღნიშნული საგანი უნდა მოამზადონ დამოუკიდებლად და 1967 წლის 15 მაისამდე ჩააბარონ სალამოს სკოლებში შექმნილ სპეციალურ საგამოცდო კომისიებს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

სალამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცირკულარულად

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

2/XI—1966 წ. № 9/1873

**საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორებს**

მიმდინარე, 1966—67 სასწავლო წელს საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების XI კლასებში ბიოლოგიის კურსი არ ისწავლება, ამიტომ დღის სკოლების X კლასის მოსწავლეებმა, რომლებიც მუშაობის დაწყების გამო სწავლას აგრძელებენ საღამოს (ცვლის) მუშა და სოფლის ახალგაზრდობისა და დაუსწრებელი სკოლების XI კლასებში, ზემოაღნიშნული საგანი უნდა მოამზადონ დამოუკიდებლად და 1967 წლის 15 მაისამდე ჩააბარონ საღამოს სკოლებში შექმნილ სპეციალურ საგამოცდო კომისიებს.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრი **თ. ლაშქარაშვილი**

საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების
სამმართველოს უფროსი **რ. კანდელაკი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო**

№ 1/3737

1966 წლის 1 დეკემბერი

# ცირკულარული წერილი

**აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებათა გამგეებს**

**სასკოლო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის გამოყენების შესახებ**

სადირექტივო ორგანოს დადგენილებაში — საბიბლიოთეკო საქმის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ ჩვენს ქვეყანაში—აღნიშნულია, რომ მთელ რიგ ბიბლიოთეკებში ცუდად არის დაყენებული მკითხველებისათვის წიგნის მიწოდების საქმე.

დადგენილებით წინადადება ეძლევა სსრკ კულტურის სამინისტროს და ყველა უწყებას, ვის გამგებლობაშიც მოიპოვება ბიბლიოთეკები, მაქსიმალურად გაადიდონ წიგნობრივი ფონდის ბრუნვა.

როგორც სსრკ სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით ირკვევა, 1965 წლისათვის ჩვენს ქვეყანაში სულ 370 ათ. სხვადასხვა სახის ბიბლიოთეკა იყო, რომელთა წიგნადი ფონდი 2,4 მილიარდ ეგზემპლარს შეადგენდა. დასახელებული დადგენილების მიღებიდან ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდები გაიზარდა 507 მილიონი ეგზემპლარით, მკითხველთა რაოდენობა (კულტურის ორგანოების, პროფკავშირების, ტექნიკური და ცენტრალური ბიბლიოთეკებისა)—24 მილიონით, ხოლო წიგნების გაცემა 408 მილიონი ეგზემპლარით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, წიგნადი ფონდების გამოყენების საქმე ბიბლიოთეკებში მაინც არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული.

აღსანიშნავია, რომ მასობრივ ბიბლიოთეკებში წიგნების ბრუნვა 1965 წელს 1960 წელთან შედარებით არა თუ არ გადიდებულა, არამედ კიდევაც შემცირდა, რაც ნათლად დასტურდება თანდართული ცხრილით:

**ერთი წიგნის ბრუნვა საშუალოდ (წიგნების გაცემის შეფარდება საერთო წიგნად ფონდთან);**

| | 1960 წ. | 1965 წ. |
|---|---|---|
| ყველა ბიბლიოთეკის ხაზით | 1,8 | 1,6 |
| რესპუბლიკურ, საოლქო, სამხარეო | 0,9 | 0,7 |
| სარაიონო, საოკრუგო | 1,9 | 1,7 |
| საქალაქო | 2,5 | 2,1 |
| სასოფლო | 1,4 | 1,3 |
| საბავშვო | 2,5 | 2,1 |

სსრკ კულტურის სამინისტროს სისტემის ბიბლიოთეკებში, რომელთა წიგნადი ფონდები მთელი ჩვენი ქვეყნის მასობრივი ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების 72%-ს შეადგენს, 1965 წელს ერთი წიგნი საშუალოდ გაცემულია მხოლოდ 1,6-ჯერ, ნაცვლად 1960 წლის 1,8-ისა.

განსაკუთრებით დაბალია წიგნების ბრუნვა რესპუბლიკურ და საოლქო მასობრივ და, კერძოდ, სასკოლო ბიბლიოთეკებში.

წიგნადი ფონდების გამოყენების გაუმჯობესების საქმეს დიდად უშლის ხელს ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ ბიბლიოთეკების მუშაკთა შორის დიდ ნაწილს არა აქვს სათანადო სპეციალური საბიბლიოთეკო განათლება და ზოგჯერ მათ არ გააჩნიათ არც სათანადო ცოდნა და გამოცდილება.

სტატისტიკური მონაცემებით ირკვევა, რომ 1965 წელს სახელმწიფო მასობრივ ბიბლიოთეკებში უმაღლესი სპეციალური საბიბლიოთეკო განათლების მქონე მუშაკთა რაოდენობა მხოლოდ 9 პროცენტს შეადგენს, საშუალო საბიბლიოთეკო განათლების მქონე მუშაკთა რაოდენობა კი 42%-ს.

ანალოგიური მდგომარეობაა ჩვენი რესპუბლიკის სასკოლო ბიბლიოთეკებშიც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე გავალებთ შეამოწმოთ სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნადი ფონდების გამოყენების საქმე, ბიბ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიოთეკართა კადრების შემადგენლობა და დასახოთ სათანადო ღონისძიებანი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

თანახმად ჩვენი 1966 წლის 6 აპრილის მომართვისა, საჭიროა უზრუნველყოთ ყველა სასკოლო ბიბლიოთეკის ჩაბმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ბიბლიოთეკების საზოგადოებრივ დათვალიერებაში, იმგვარად რომ ყველა ბიბლიოთეკამ აიღოს გარკვეული ვალდებულებანი მუშაობის გარდასაქმნელად, კერძოდ: 1. გააუმჯობესონ სასკოლო ბიბლიოთეკების საბინაო პირობები, განაახლონ ან შეავსონ ის საჭირო ინვენტარით.

2. გაზარდონ მკითხველთა რაოდენობა იმ ვარაუდით, რომ არც ერთი მოსწავლე არ დარჩეს ბიბლიოთეკის გარეშე;

3. გააუმჯობესონ წიგნის პროპაგანდა მოსწავლეთა შორის, მრავალფეროვანი მასობრივი ღონისძიებებით (ლიტერატურული საღამოები, მკითხველთა კონფერენციები, ხმამაღალი მხატვრული კითხვა, თემატური გამოფენები, ახალი წიგნების გამოფენა და სხვ.) შეაყვარონ მოზარდებს წიგნი და ამით გაზარდონ წიგნადი ფონდის ბრუნვა;

4. უზრუნველყონ წიგნების მოვლა და დაცვა, შეავსონ ბიბლიოთეკები ახალი მხატვრული, მეცნიერულ-პოპულარული, ტექნიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურით;

5. მოაგვარონ საბიბლიოთეკო მეურნეობა (წიგნობრივი ფონდების დამუშავება, კატალოგების შედგენა, მკითხველთა ბარათების წარმოება, ყოველდღიური მუშაობის ზუსტი აღრიცხვა და სხვ.);

6. სასკოლო ბიბლიოთეკები შეძლებისდაგვარად დააკომპლექტონ მაღალკვალიფიციური, სპეციალური საბიბლიოთეკო განათლების მქონე კადრებით, ან ჩააბან ბიბლიოთეკების მუშაკები დაუსწრებელ სწავლებაში.

გატარებული ღონისძიებების შესახებ მასალები წარმოუდგინეთ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს არა უგვიანეს 1967 წლის მაისისა.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. იბოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 7 დეკემბრის ბრძანება № 1364

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში ბიბლიოთეკების მუშაობის დათვალიერების შესახებ

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ბიბლიოთეკების საკავშირო საზოგადოებრივ დათვალიერებაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლებისა და სხვა დაწესებულებების ბიბლიოთეკების აქტიურად ჩაბმის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს პირობები საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სკოლებსა და სხვა დაწესებულებებში ბიბლიოთეკების რესპუბლიკური საზოგადოებრივი დათვალიერების შესახებ (თან ერთვის).

2. შეიქმნას სასკოლო და განათლების სამინისტროს სისტემის სხვა ბიბლიოთეკების დათვალიერების საორგანიზაციო კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1. უშ. ობოლაძე—საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (თავმჯდომარე);

2. დ. ჯავახია—სკოლების სამმართველოს უფროსი (თავმჯდომარის მოადგილე);

3. ვ. გოგოლაძე—ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორი;

4. ე. აგლაძე—საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი;

5. ლ. პაიჭაძე—ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის წიგნზე მუშაობის განყოფილების გამგე;

6. ნ. ბერძენიშვილი (მდივანი);

ეროვნული
ბიბლიოთეკა

7. ნ. კვიტაიშვილი—ბიბლიოთეკის მუშაკი
8. ლ. ურუშაძე—ბიბლიოთეკის მუშაკი
9. თ. მემარნიშვილი—ბიბლიოთეკის მუშაკი

3. კომისიამ პერიოდულად შეისწავლოს სასკოლო და განათლების სამინისტროს სისტემის სხვა ბიბლიოთეკებში დათვალიერების მიმდინარეობა და საჭიროების შემთხვევაში შემოწმების მასალები წარუდგინოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიას განსახილველად.

4. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) განათლების განყოფილებებმა სასკოლო და სხვა დაწესებულებების ბიბლიოთეკების დათვალიერების ორგანიზებულად ჩატარებისათვის:

ა) შექმნან კომისიები ადგილებზე დათვალიერების ხელმძღვანელობის გასაწევად;

ბ) უზრუნველყონ თითოეული ბიბლიოთეკის აქტიურად ჩაბმა დათვალიერებაში, გაუწიონ კონტროლი მათ მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას და მიაღწიონ ბიბლიოთეკებში მუშაობის არსებითად გარდაქმნა-გაუმჯობესებას;

გ) წარმოუდგინონ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მოხსენებითი ბარათები დათვალიერების შედეგების შესახებ არა უგვიანეს 1967 წლის 1-ლი მაისისა.

5. საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (უფროსი ამხ. ა. კვაჭაძე) გამოყოს საჭირო ფულადი სახსრები გამარჯვებული ბიბლიოთეკებისა და ბიბლიოთეკართა დასაჯილდოებლად.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე უშ. ობოლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ბიბლიოთეკების მუშაობის სრულიად საკავშირო საზოგადოებრივი დათვალიერება

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის სასკოლო ბიბლიოთეკების დათვალიერების პირობები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ბიბლიოთეკების სრულიად საკავშირო დათვალიერების შედეგად შეჯამდება საბიბლიოთეკო მუშაობის მიღწევები საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 50 წლის მანძილზე.

დათვალიერების პერიოდში ბიბლიოთეკები უფრო სრულყოფენ თავიანთ საქმიანობას საბიბლიოთეკო მუშაობის ყველა ფორმისა და მეთოდის შემოქმედებითად გამოყენებით, აამაღლებენ ბიბლიოთეკების მუშაობის იდეურ დონეს, რითაც ხელს შეუწყობენ საბჭოთა ადამიანების, კერძოდ მოზარდი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას.

დათვალიერების პერიოდში სასკოლო ბიბლიოთეკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმონ იმ ლიტერატურის პროპაგანდას, რომელიც ასახავს საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 50 წლის მანძილზე ჩვენი ხალხის პატრიოტულ, რევოლუციურ საბრძოლო და შრომითს ტრადიციებს, ვ. ი. ლენინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, სკკპ XXIII ყრილობის მასალებს, დიდი ქართველი მოაზროვნისა და მგოსნის შოთა რუსთაველის საიუბილეო დღეებში გამოქვეყნებულ მასალებს.

სრულიად საკავშირო დათვალიერების პროცესში სასკოლო ბიბლიოთეკებს მეთოდურ ხელმძღვანელობას გაუწევენ კ. მარქსის სახელობის საქართველოს სსრ სახელმწიფო რესპუბლიკური და ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკები.

სასკოლო ბიბლიოთეკის უპირველესი ამოცანაა დაეხმაროს სკოლას სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის წარმატებით განხორციელებაში. დათვალიერების პერიოდში სასკოლო ბიბლიოთეკა ყურადღებას ამახვილებს ყველა იმ ძირითად საკითხზე, რომელიც უზრუნველყოფს მისი მუშაობის დონის ამაღლებას;

სახელდობრ:

1. ბიბლიოთეკის წიგნობრივი ფონდის შესწავლა, ხარვეზების შევსება, შინაარსობრივად მოძველებული და პროფილის შეუსაბამო ლიტერატურისაგან გაწმენდა. წიგნის შესაძენი თანხის დროულად ათვისება, ფონდის პროფილარული დაკომპლექტების უზრუნველყოფა. წიგნობრივი ფონდის ინდივიდუალური და ჯამობრივი აღრიცხვის მოწესრიგება. სასკოლო ბიბლიოთეკებისათვის დადგენილი სახის კატალოგების შედგენა.

2. ბიბლიოთეკის სადგომის წესრიგში მოყვანა (უვარგისი ოთახებიდან უკეთესში გადაყვანა, შეკეთება, მოწყობილობის განახლება, ახალი ინვენტარის შეძენა და სხვ.).

3. კულტურის სამინისტროს სისტემის შესაბამის ბიბლიოთეკასთან ერთად (სარაიონო, სასოფლო, საქალაქო) მოსწავლეების სახელობითი სიის შედგენა კლასების მიხედვით, ბიბლიოთეკის გარეშე დარჩენილი მოსწავლეების გამოვლენა, მათი ბიბლიოთეკაში მიზიდვა და სისტემატურ კითხვაში ჩაბმა.

4. მოსწავლეთა კითხვის ხელმძღვანელობაში მასწავლებლების მონაწილეობის ორგანიზაცია (მასწავლებლების მორიგეობა, ბიბლიოთეკის გამგის შემცვლელის შერჩევა და სხვ.).

5. ყოველდღიური მუშაობის (წიგნის გაცემა, მკითხველთა ჩაწერა, მათი დასწრება და სხვ.) ზუსტი აღრიცხვა.

6. წიგნის პროპაგანდის გაშლა-გაფართოება (ახალი წიგნების და თემატური გამოფენების მოწყობა, მკითხველთა კონფერენციების, ლიტერატურული საღამოების ჩატარება, ექსკურსიების მოწყობა მწერალთა სახლ-მუზეუმებში და სხვ.) იმ ვარაუდით, რომ გაიზარდოს სასკოლო ბიბლიოთეკების წიგნობრივი ფონდის ბრუნვა.

7. მშობელთათვის საუბრებისა და ლექციების ჩატარება თემებზე: „მოსწავლეთა კლასგარეშე კითხვა ოჯახში“, „საშინაო ბიბლიოთეკის ორგანიზაცია“ და სხვ.

8. ი. გოგებაშვილის სახელობის სახალხო განათლების სახელმწიფო რესპუბლიკურ ბიბლიოთეკასთან ერთად მასწავლებლებისა-

თვის ინფორმაციის მიწოდება ახალი აქტუალური, პედაგოგიური ლიტერატურის შესახებ.

9. კლასგარეშე საკითხავი ლიტერატურის სარეკომენდაციო სიის შედგენა მასწავლებლებთან ერთად.

10. საბიბლიოთეკო-საბიბლიოგრაფიო ცოდნის პროპაგანდა მოსწავლეებში. საბიბლიოთეკო გაკვეთილების ჩატარება თემებზე: „წიგნი ცოდნის წყარო", „როგორ შევარჩიოთ წიგნი", „როგორ წავიკითხოთ წიგნი, გაზეთი", წაკითხულის გამო დღიურების წარმოება და სხვა.

11. მასობრივ მუშაობაში განსაკუთრებით სკკპ XXIII ყრილობის მასალების გამოყოფა და დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი მასალების პროპაგანდა, ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ლიტერატურის შერჩევა-გაცემა, შ. რუსთაველის იუბილეს ამსახველი მასალების გაცემა და სხვ.

12. კომკავშირულ და პიონერულ ორგანიზაციებთან მტკიცე კავშირის დამყარება.

13. ცენტრალური და ადგილობრივი საბავშვო, პიონერული და კომკავშირული პერიოდული გამოცემების (ჟურნალ-გაზეთების) პროპაგანდა, მათი გამოფენა სამკითხველო დარბაზებში და მკითხველთა ყოველდღიური ზუსტი აღრიცხვა.

14. ნორჩ მკითხველთა აქტივის შემოკრება და მათი აქტიურად ჩაბმა საბიბლიოთეკო საქმიანობაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 27 დეკემბრის ბრძანება № 1468

### ქ. ქუთაისის მე-11 და ქ. ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

როგორც შემოწმებით გამოირკვა, ქ. ქუთაისის მე-11 და ქ. ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლებს სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში ერთგვარი მიღწევები აქვთ მოპოვებული. სკოლები დაკომპლექტებულია სათანადო განათლების მქონე კვალიფიციური მასწავლებლებით. საჭირო ყურადღება ექცევა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას. მთლიანად შესრულებულია სკოლებში მოსწავლეთა კონტინგენტის ჩაბმის გეგმა და მოგვარებულია მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვის საქმე. შესწავლილი სკოლების მასწავლებელთა ერთი ნაწილი კარგად ფლობს საგანს და ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა. ამ მხრივ გამოირჩევიან დაწყებითი კლასების მასწავლებლები ნ. დახუნდარიძე და დ. თორთლაძე (ქ. ქუთაისის მე-11 საშუალო სკოლა), ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები ტ. ჩიქოვანი (ქ. ქუთაისის მე-11 საშუალო სკოლა), ვ. ბოჭორიშვილი (ქ. ტყიბულის მე-2 საშ. სკოლა); დაწყებითი კლასების რუსული ენის მასწავლებლები მ. მარგველაშვილი და ლ. კაჩუხაშვილი (ქ. ქუთაისის მე-11 საშ. სკოლა); ელექტროტექნიკის მასწავლებლები უ. ამბროლაძე (ქ. ტყიბულის მე-2 საშ. სკოლა) და ო. გრძელიძე (ქ. ქუთაისის მე-11 საშუალო სკოლა).

დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მათემატიკის სწავლება ქ. ტყიბულის მე-2 საშ. სკოლის Xა კლასში (მასწავლებელი ა. ბოჭორიშვილი). ამ კლასის მოსწავლეებმა გეომეტრიაში საპროგრამო მასალის საფუძვლიანი და გააზრებული ცოდნა გამოამჟღავნეს. ალგებრასა და ელემენტარულ ფუნქციებში ჩატარებული საკონტრო-

ლო წერით ნამუშევარში 20 მოსწავლიდან შეფასება „5“ მიიღო ორმა მოსწავლემ, ნიშანი „4“—ხუთმა, „3“—ცხრამ და ნიშანი „2“—ოთხმა მოსწავლემ.

დამაკმაყოფილებელი მომზადება გამოამჟღავნეს მათემატიკაში V, VIII და IX კლასების (მასწავლებელი ლ. უკლება) მოსწავლეებმა. კარგად მუშაობს ქ. ქუთაისის მე-11 საშ. სკოლის II კლასის მასწავლებელი (დ. გველესიანი), მოსწავლეები ასის ფარგლებში უშეცდომოდ ასრულებენ მოქმედებებს; მაგალითებსა და ამოცანებს აკეთებენ ზეპირად, იციან ამოცანის ტექსტის ჩაწერა და მას ხსნიან დამოუკიდებლად.

შემოწმებით გამოირკვა, რომ ამ სკოლებში დამაკმაყოფილებლადაა დაყენებული ქიმიის სწავლება. მასწავლებლები პროგრამულ მასალას ორგანულად უკავშირებენ პრაქტიკულ საქმიანობას, ატარებენ პროგრამით გათვალისწინებულ ფრონტალურ ლაბორატორიულ სამუშაოებს. მიზანშეწონილად აწყობენ სასწავლო ექსკურსიებს და მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობენ კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობას. კარგი მუშაობით გამოირჩევიან მასწავლებლები: ზ. ზუაძე (ქ. ტყიბულის მე-2 საშ. სკოლა), გ. მინდიაშვილი და ნ. კუპრაშვილი (ქ. ქუთაისის მე-11 საშ. სკოლა). ამ სკოლებში მოსწავლეთა მომზადება ქიმიაში დამაკმაყოფილებელია; ისინი ერკვევიან ქიმიური რეაქციების არსში, უშეცდომოდ წერენ ქიმიურ ტოლობებს, ნათელი წარმოდგენა აქვთ ატომის აგებულებაზე, ელექტრულ დისოციაციაზე, ელექტროლიზზე და მის ტექნიკურ გამოყენებაზე.

კარგადაა მოწყობილი სადურგლო, საზეინკლო და მეოჯახეობის კაბინეტები ქ. ქუთაისის მე-11 საშ. სკოლაში. აქ საზეინკლო სახელოსნოსთან მოწყობილია თერმოქურა, სადაც მოსწავლეები ეცნობიან ლითონების თერმულ დამუშავებას; განსაკუთრებით აღსანიშნავია მეოჯახეობის კაბინეტი (მასწავლებელი ნ. დახუნდარიძე) სადაც ყველა პირობაა შექმნილი მეოჯახეობისა და უფროსი კლასის გოგონებისათვის ქსოვილების დამუშავების სწავლებისათვის.

მიუხედავად ამისა, ქ. ქუთაისის მე-11 და ქ. ტყიბულის მე-2 საშ. სკოლების მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

სუსტად მუშაობს ქ. ქუთაისის მე-11 საშ. სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი მ. გოცირიძე. იგი გულმოდგინედ არ ემზადება გაკვეთილისათვის, სწავლებაში არ იყენებს თვალსაჩინოებას,

უყურადღებოდ ტოვებს აკადემიურად ჩამორჩენილ მოსწავლეებს. ამ სკოლის X კლასში (მასწავლებელი მ. გამეზარდაშვილი) მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში ადგილი აქვს მოსწავლეთა საკონტროლო წერითი ნამუშევრების ლიბერალურად შეფასების შემთხვევებს.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული მათემატიკის სწავლება ქ. ქუთაისის მე-11 საშუალო სკოლაში X³ კლასის (მასწავლებელი ე. თუთბერიძე) მოსწავლეებმა გავლილ საპროგრამო მასალის ცოდნის დაბალი დონე გამოამჟღავნეს ალგებრასა და ელემენტარულ ფუნქციებში. ამ კლასში ტრიგონომეტრიულ გამოსახულებათა ნამრავლებად გარდაქმნაზე ჩატარებული საკონტროლო წერის შედეგად გამოირკვა, რომ 20 მოსწავლიდან დადებითი შეფასება მხოლოდ ოთხმა მოსწავლემ მიიღო. ასევე დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს გეომეტრიაში VIII კლასის მოსწავლეებმა; მოსწავლეთა დიდმა ნაწილმა არ იცოდა საშინაო დავალებად მიცემული თეორემა „სამკუთხედის შიდა კუთხის ბისექტრისის თვისებაზე" და კლასის ვერცერთმა მოსწავლემ ვერ ალმართა ბლაგვკუთხა სამკუთხედის სიმაღლე. X² კლასში (მასწავლებელი ა. დარსაძე) ჩატარებულმა საკონტროლო წერამ ტრიგონომეტრიულ გამოსახულებათა იგივეობის დამტკიცებაზე გვიჩვენა, რომ 32 მოსწავლიდან შეფასება „4"-ს მხოლოდ 5 მოსწავლე იმსახურებს, „3"-ს ჩვიდმეტი, ათმა მოსწავლემ მიიღო შეფასება „2".

სათანადო სიმაღლეზე არაა დაყენებული ფიზიკის სწავლება ქ. ქუთაისის მე-11 საშ. სკოლაში. ფიზიკის კაბინეტი მოუწყობელია მოხერხებული მუშაობისათვის, შევსებული არაა საჭირო ხელსაწყოიარაღებით, მასწავლებლები გულდასმით არ ემზადებიან ყოველდღიური მუშაობისათვის, სრულყოფილად ვერ ფლობენ ფიზიკის ექსპერიმენტის ტექნიკას სკოლაში და ყოველივე ამის შედეგად, დაბალ აკადემიურ დონეზე ატარებენ გაკვეთილებს. ასე, მაგალითად, VIII კლასებში მასწავლებლებმა (ნ. ცქიფურიშვილი, ჩ. გახოკიძე) ძალიან მცირე დროში და ყოველგვარი დემონსტრაციის გარეშე მოახდინეს ახალი მასალის ელექტრული დენის მუშაობა-გადაცემა. დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს X კლასების (მასწავლებლები ნ. ცქიფურიშვილი, თ. კიკვაძე) მოსწავლეებმა. ანალოგიურ მდგომარეობას აქვს ადგილი ქ. ტყიბულის მე-2 საშ. სკოლის X კლასებში (მასწავლებელი გ. ბერძული).

სათანადო სიმაღლეზე არ დგას სკოლებში ბიოლოგიის სწავლება. ქ. ტყიბულის მე-2 საშ. სკოლაში მოწყობილი არაა ბიოლოგიის კაბინეტი და თვალსაჩინო ხელსაწყოები ბიოლოგიაში ინახება პატარა ოთახში. ქ. ქუთაისის მე-11 საშ. სკოლაში ბიოლოგიური ექსპონატები ქიმიის კაბინეტშია მოთავსებული და მასწავლებლებს უძნელდებათ მათი გამოყენება. ამასთან ერთად, ამ სკოლებს ძალიან მცირე რაოდენობით აქვთ ექსპონატები, ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ქ. ქუთაისის მე-11 საშ. სკოლაში, სადაც ზოგადი ბიოლოგიის თვალსაჩინო სწავლებისათვის არავითარი მასალა არ მოიპოვება. ბიოლოგიის სწავლებაზე სკოლებში უარყოფით გავლენას ახდენს აგრეთვე ისიც, რომ სკოლები უზრუნველყოფილი არ არის საკმაო ფართობის სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთებით.

არადამაკმაყოფილებლად ისწავლება ელექტროტექნიკა ქ. ქუთაისის მე-11 საშ. სკოლაში. (მასწავლებლები (ნ. ცქიფურიშვილი და ჩ. გახოკიძე) სუსტად ემზადებიან გაკვეთილებისათვის, სწავლებაში ვერ იყენებენ თვალსაჩინოებას, ნაკლებად ატარებენ პრაქტიკულ სამუშაოებს, ახალი მასალის გადაცემისას არ იმარჯვებენ ფიზიკაში შესწავლილ საკითხებს და სრულიად უგულებელყოფენ მოსწავლეთა მომზადებას პრაქტიკული საქმიანობისათვის.

მინიმალური პირობებიც კი არაა შექმნილი ქ. ტყიბულის მე-2 საშ. სკოლაში IX და X კლასების მოსწავლეთა შრომითი სწავლებისათვის. მოწყობილი არაა სახელოსნო მეოჯახეობის სწავლებისა და ქსოვილების დამუშავებისათვის და კაბინეტი (მასწავლებელი ი. რიჟამაძე) პრაქტიკუმების ჩასატარებლად ტექნიკურ ხაზვაში. ხაზვისა და ქსოვილების დამუშავების გაკვეთილები ყოველგვარი თვალსაჩინოების გამოყენების გარეშე ტარდება. ასევე სკოლა უზრუნველყოფილი არაა მასალებით VIII კლასებში ელექტროსამონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად.

სკოლებში შრომითი სწავლების გამუჯობესების საქმეს ხელს უშლის ისიც, რომ მოსწავლეთა პრაქტიკულ მუშაობას ხელმძღვანელობენ არა სპეციალური განათლების მქონე მასწავლებლები. ასე, მაგალითად, ქ. ქუთაისის მე-11 საშ. სკოლაში შრომითი სწავლების გაკვეთილებს ხუთი მასწავლებელი ატარებს, რომელთაგან ოთხი არასპეციალისტია.

შემოწმებულ სკოლებში დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება, განსაკუთრებით ცალკეულ კლასებში. სასწავლო წლის პირველ მეოთხედში ვერ ასწრებდა ქ. ტყიბულის მე-2 საშ.

სკოლაში (დირექტორი ა. ბოჭორიშვილი) 383 შეფასებული (V—X კლასები) მოსწავლიდან 137 მოსწავლე, V$_{ა}$ კლასის 29 მოსწავლიდან—12, VI$^{ა}$ კლასში—28-დან—12, VIII$^{ა}$ კლასში 29-დან—12, IX$_{ბ}$ კლასში 33-დან—14, X$^{ა}$ კლასში 21-დან—8; ქ. ქუთაისის მე-11 საშ. სკოლაში (დირექტორი ი. ჭეიშვილი) 889-დან (I—X კლასები) —140, VIII$^{3}$ კლასში 30-დან 10, X$^{2}$ კლასში 35-დან—11 და ა. შ.

სკოლების წლიური სამუშაო გეგმები ძირითადად უზრუნველყოფს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვას, მაგრამ ზოგჯერ მათში საკმაო კონკრეტულობით არ არის წარმოდგენილი ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების, აღმზრდელობითი მუშაობის ყველა სფეროს მომცველი კომპლექსური ღონისძიებანი.

სკოლებში გაკვეთილების ცხრილი შედგენილია დამაკმაყოფილებლად, მაგრამ რიგ შემთხვევებში ქართული ლიტერატურა (V კლასში), რუსული ენა (VII და IX კლასებში) და უცხო ენა (V, VI, VII, VIII და IX კლასებში) შეტანილია ბოლო გაკვეთილებად.

საკლასო ჟურნალების შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ქ. ტყიბულის მე-2 საშ. სკოლის VIII$^{ა}$ (ხელმძღვანელი დ. ჯიშკარიანი) და X$_{ბ}$ (ხელმძღვანელი ვ. ბოჭორიშვილი), ქ. ქუთაისის მე-11 საშ. სკოლის V$^{1}$ (ხელმძღვანელი შ. ჩოჩია) VII (ხელმძღვანელი მ. გულდედავა) და X$_{3}$ (ხელმძღვანელი გ. სვინტრაძე) კლასებში რიგ შემთხვევაში სწორად არაა გამოყვანილი პირველი მეოთხედის შეფასების ნიშნები მიმდინარე აღრიცხვის საფუძველზე.

სათანადო სიმაღლეზე არ დგას შინა სასკოლო კონტროლი და ხელმძღვანელობა. სკოლების დირექტორები და სასწავლო ნაწილის გამგეები ნაკლებად ესწრებიან მასწავლებელთა გაკვეთილებს და სათანადო დახმარებას არ უწევენ მათ მუშაობის გაუმჯობესების საქმეში. ქ. ტყიბულის მე-2 საშ. სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში (ე. ნემსაძე) მოსმენილი აქვს 15 გაკვეთილი და ისიც არ არის გაანალიზებული მეცნიერულ-პედაგოგიური თვალსაზრისით.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. ქ. ქ. ქუთაისისა და ტყიბულის განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

ა) მტკიცე კონტროლი და ხელმძღვანელობა გაუწიონ სკოლების მუშაობას, სისტემატურად შეამოწმონ სკოლებისათვის მოცემული მითითებების შესრულების მდგომარეობა;

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ) შეავსონ სკოლების სასწავლო კაბინეტები საჭირო ხელსაწყო-იარაღებითა და რეაქტივებით;

გ) უზრუნველყონ ქ. ქუთაისის მე-11 და ქ. ტყიბულის მე-2 საშუალო სკოლები სასწავლო-საცდელი მიწის ნაკვეთებით.

2. სკოლის დირექტორებმა და დირექტორის მოადგილეებმა სასწავლო მუშაობის დარგში:

ა) გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი მასწავლებელთა მუშაობაზე, სისტემატურად მოისმინონ მასწავლებელთა გაკვეთილები და მიაღწიონ მასწავლებელთა პედაგოგიური დახელოვნების სრულყოფას და სწავლების მაღალ დონეზე დაყენებას;

ბ) მუშაობა იმგვარად წარმართონ, რომ თითოეული მასწავლებელი საფუძვლიანად ემზადებოდეს ყოველი გაკვეთილისათვის; უზრუნველყოფილი იქნეს სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ცდებისა და ლაბორატორიული მუშაობის ჩატარება;

3. ქ. ქუთაისის მე-11 საშ. სკოლის დირექტორს ი. ჭეიშვილს, რომელმაც ვერ უზრუნველყო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისათვის სათანადო ხელმძღვანელობა, გამოეცხადოს საყვედური.

4. მასწავლებელთა მუშაობაზე არასაკმარისი კონტროლისა და სუსტი ხელმძღვანელობისათვის მიეთითოს მე-2 საშ. სკოლის დირექტორის მოადგილეს სასწავლო მუშაობის დარგში ე. ნემსაძეს.

5. საგნის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისათვის მიეთითოს ქ. ქუთაისის მე-11 საშუალო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელ მ. გოცირიძეს, მათემატიკის მასწვლებლებს ე. თუთბერიძესა და ა. დარსაძეს, ფიზიკის მასწავლებლებს ნ. ცქიფურიშვილსა და ჩ. გახოკიძეს.

6. ქ. ქუთაისის მე-11 საშუალო სკოლის მასწავლებლებს ნ. ცქიფურიშვილსა და ჩ. გახოკიძეს ელექტროტექნიკის სწავლების დაბალ დონეზე დაყენებისათვის ჩამოერთვათ საათები ამ საგანში. სკოლის დირექტორმა აღნიშნული საათები გადასცეს სათანადო კვალიფიკაციის მქონე მასწავლებელს.

**საფუძველი:** საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წლის 23 დეკემბრის დადგენილება.

საქართველოს სსრ განათლების
მინისტრის მოადგილე **უშ. ობოლაძე**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1966 წ. 26 დეკემბრის ბრძანება № 1465

## ჭიათურის ზოგიერთ სკოლაში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შემოწმების შედეგების შესახებ

აღვნიშნავ, რომ ჭიათურის სკოლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები ტარდება სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

სკოლები ძირითადად უმაღლესი განათლების მქონე მასწავლებლებითაა დაკომპლექტებული. გარკვეული მუშაობა არის გაწეული სკოლების ნივთიერი ბაზის გაძლიერებისათვის. ამ მხრივ კარგი მდგომარეობაა ზოდის საშუალო სკოლაში, სადაც ფიზიკის კაბინეტისათვის გამოყოფილია ორი ოთახი. ხელსაწყო-იარაღების რაოდენობა ძირითადად აკმაყოფილებს სასწავლო პროგრამის მოთხოვნილებას.

შემოწმებამ ცხადყო, რომ ზოგიერთ სკოლაში ერთგვარი წარმატებებია მოპოვებული ცალკეული საგნების სწავლების საქმეში. მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი კეთილსინდისიერად, პასუხისმგებლობის ღრმა შეგნებით მუშაობს. სერიოზულად ემზადება ყოველი გაკვეთილისათვის და მოსწავლეებს მტკიცე ცოდნა-ჩვევებს აძლევს.

კარგად მუშაობენ მასწავლებლები: დაწყებით კლასებში თ. ტყემალაძე (ჭიათურის მე-2 საშ. სკოლა), ნ. ნეფარიძე (ნიგოზეთის საშ. სკოლა), თ. ბარათაშვილი (რგანის საშ. სკოლა), მათემატიკაში რ. გურჯიძე (რგანის საშ. სკოლა), გ. კაპანაძე, პ. ბერელაძე (ჭიათურის მე-2 საშ. სკოლა), გ. აბესაძე (ჭიათურის მე-3 საშ. სკოლა), გერმანულ ენაში ვ. გველესიანი (ჭიათურის მე-2 საშ. სკოლა).

ჭიათურის განათლების განყოფილებას (გამგე გ. ცხადიაშვილი) გარკვეული მუშაობა აქვს გაწეული სკოლებისადმი დახმარე-

ბის, კონტროლის და ხელმძღვანელობის საქმეში. განათლების განყოფილებისა და პედაგოგიური კაბინეტის მუშაკების მიერ შესწავლილია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა 13 სკოლაში. შემოწმების მასალები და განათლების საბჭოს დადგენილებები ეგზავნება სკოლებს სახელმძღვანელოდ.

მიუხედავად აღნიშნულისა, ჭიათურის ზოგიერთი სკოლის მუშაობაში ადგილი აქვს არსებითი ხასიათის ნაკლოვანებებს.

მასწავლებელთა ერთი ნაწილი კმაყოფილდება იმ ცოდნით, რაც უმაღლეს სასწავლებელში მიიღო, სისტემატურად არ მუშაობს კვალიფიკაციის ამაღლებისა და პედაგოგიური დახელოვნებისათვის, სათანადოდ არ ემზადება გაკვეთილებისათვის, ნაკლებ ყურადღებას აქცევს თვალსაჩინოების გამოყენებას და მოსწავლეებს არ აძლევს საფუძვლიან ცოდნას.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებებით ხასიათდება მათემატიკის სწავლება ზოდის (მასწ. შ. ბარათაშვილი), რგანის (მასწ. ბ. ცერცვაძე) საშუალო სკოლების VIII კლასებში. მოსწავლეებმა არ იციან სამკუთხედების მსგავსების ნიშნები, მსგავს სამკუთხედებში ვერ პოულობენ შესაბამის გვერდებს, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ პროპორციულ მონაკვეთებზე. ამავე სკოლების VII კლასების (მასწავლებელი დ. ბიწაძე და გ. ცერცვაძე) მოსწავლეები ვერ არჩევენ ერთმანეთისაგან იგივეობასა და განტოლებას, არ იციან განტოლების ძირითადი თვისებები, მრავალწევრთა თანამამრავლებად დაშლა და სხვა. მასწავლებლები საკონტროლო წერით ნამუშევრებს გულდასმით არ ასწორებენ და ნამუშევრებს ლიბერალურად აფასებენ.

ნიგოზეთის საშ. სკოლის IX და X კლასების მოსწავლეებმა (მასწ. კ. ნოზაძე) სუსტად იციან განვლილი მასალა ალგებრასა და ელემენტარულ ფუნქციებში. X კლასში ჩატარებულ საკონტროლო წერის შედეგად 21 მოსწავლიდან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო 12-მა მოსწავლემ.

ნაკლოვანებებით ხასიათდება აგრეთვე ზოგიერთ სკოლაში ფიზიკის სწავლება. ნიგოზეთის საშ. სკოლის IX და X კლასის მოსწავლეები (მასწ. მ. ბიწაძე) ვერ იძლევიან მატერიალისტურ განმარტებებს ისეთი ფიზიკური ცნებისას, როგორიცაა: ნივთიერება, ველი, ძალა, მასა, მუშაობა, ენერგია და სხვ. ამავე სკოლაში ფიზიკის გაკვეთილები არ ტარდება პროგრამის შესაბამისად. X კლასში არ არის შესწავლილი წრედის უბნისათვის ომის კანონის ახსნა

ელექტრონულ წარმოდგენათა საფუძველზე, პლაზმის ცნება და ნახევარგამტარების ელექტრული თვისებები. ჭიათურის მე-2 საშ. სკოლის IX კლასის მოსწავლეებს (მასწ. ნ. მოდებაძე) არ აქვთ გავლილი მასალის საფუძვლიანი ცოდნა. მათ არ იციან სიჩქარის მიხედვით წრფივი მოძრაობის დახასიათება; ვერ აგებენ ამ მოძრაობის გზისა და სიჩქარის გრაფიკებს და არასაკმაო წარმოდგენა აქვთ საერთაშორისო ერთეულთა სისტემაზე. ამავე სკოლის X კლასის მასწავლებელი მ. შალიკიანი მოსწავლეთა ცოდნის შემოწმებას სისტემატურად წერითი გამოკითხვით ატარებს, შედეგი კი მეტად ცუდი აქვს; მაგალითად, 17/IX-ს 31 მოსწავლიდან—26-ს, 20/IX-ს—10-ს, ხოლო 4/IX-ს—14-ს არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიუღია. ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეები (მასწავლებელი გ. კობერიძე) ვერ ახერხებენ მექანიკური მუშაობის გაზომვას, არ იციან მუშაობის საზომი ერთეულები.

სკოლების ერთ ნაწილში სათანადო ყურადღება არ ექცევა კაბინეტების მოწყობასა და სწავლებაში მის გამოყენებას.

ჭიათურის მე-2, მე-3, ნიგოზეთისა და რგანის საშუალო სკოლებს ფიზიკის კაბინეტებში არა აქვთ სათანადო ლაბორატორიული და სადემონსტრაციო მაგიდები, არ ყოფნით კარადები და დაუმონტაჟებელია კინო და საპროექციო აპარატები. ხელსაწყო-იარაღები არ არის აღრიცხული და დალაგებული განყოფილებების მიხედვით, არ წარმოებს დაზიანებულ ხელსაწყოთა შეკეთება. ამ სკოლებში არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული ლაბორატორიული სამუშაოები, პრაქტიკუმები და ჩათვლები.

ნაკლოვანებებით ხასიათდება გერმანული ენის სწავლება ზოგ სკოლაში. ზოდის საშუალო სკოლის გერმანული ენის მასწავლებელი ჯ. აბესაძე, მიუხედავად იმისა, რომ იგი კარგად ფლობს საგანს, გაკვეთილებს ძირითადად მშობლიურ ენაზე ატარებს, არ იყენებს თვალსაჩინოებას. მოსწავლეებს არ აქვთ სიტყვათა მარაგი, რის გამოც უჭირთ საყოფაცხოვრებო თემებზე საუბარი.

ნიგოზეთის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლეებმა (მასწ. ნ. ცუცქირიძე) განვლილი მასალის სუსტი ცოდნა გამოავლინეს. მათ უჭირთ კითხვა, არ შეუძლიათ ტექსტის დამოუკიდებლად თარგმნა, მცირეა მათი სიტყვათა მარაგი, სუსტად ერკვევიან გრამატიკულ ფორმებში.

გერმანული ენის მასწავლებლები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საშინაო წერითი დავალებების შესრულების შემოწმებას

ხშირია შემთხვევები, როდესაც მასწავლებლებს წერით ნამუშევრებში შეუმჩნეველი რჩებათ მოსწავლეთა მიერ დაშვებული უხეში შეცდომები, ხოლო ნამუშევარი შეფასებულია მაღალ ნიშანზე.

არცერთ სკოლაში არ არის გაშლილი კლასგარეშე მუშაობა.

შემოწმებული სკოლების დაწყებითი კლასების ზოგიერთი მასწავლებლის არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად დაბალია მოსწავლეთა ზეპირი და წერითი მეტყველების კულტურა.

მასწავლებლები ნ. კვაჭაძე (ჭიათურის მე-3 საშ. სკოლის I კლასი), ა. ნეფარიძე (ჭიათურის მე-2 საშ. სკოლის IV კლასი), ა. ცხადიაშვილი (ზოდის საშ. სკოლის III კლასი), თ. კავთელაძე (რგანის საშ. სკოლის I კლასი) თვითონ ავლენენ მეტყველების დაბალ კულტურას და ვერ აძლევენ მოსწავლეებს გამართული მეტყველების ნიმუშს, ზოგჯერ უყურადღებოდ ტოვებენ მოსწავლეთა მიერ ზეპირი მეტყველებისას დაშვებულ შეცდომებს, სწავლების პროცესში ნაკლებად იყენებენ თვალსაჩინოებას.

არადამაკმაყოფილებელია დაწყებითი კლასების ზოგიერთი მასწავლებლის საკლასო და საკონტროლო რვეულები, მასწავლებლები ა. ნეფარიძე (ჭიათურის მე-2 საშ. სკოლის $IV^1$—$IV^2$ კლასები), ჯ. ცერცვაძე (ნიგოზეთის საშ. სკოლის III კლასი), ზ. მეტონიძე (რგანის საშ. სკოლის IV კლასი) არ იცავენ წერის ნორმებსა და სახეებს, მათ მოსწავლეებს არ უვარგათ კალიგრაფია, უშვებენ უხეშ ორთოგრაფიულ, სტილისტურ, პუნქტუაციურ შეცდომებს, სიტყვებს წერენ ასოების გამოტოვებით და მასწავლებლებს ეს შეცდომები ხშირად შეუმჩნეველი და გაუსწორებელი რჩებათ.

შესწავლილი სკოლების დაწყებით კლასებში საერთოდ შეინიშნება თვალსაჩინოებისა და ზოგიერთი აუცილებელი სასწავლო ნივთების სიმცირე (მოძრავი ანბანი, საანგარიშე, სპეციალური დახაზულობის დაფები, რუკები და სხვ.), რაც დიდად უშლის ხელს სწავლების სათანადო დონეზე დაყენებას.

შემოწმებულ სკოლებში საჭირო ყურადღება არ ექცევა შრომით სწავლებას სასწავლო სახელოსნოების მოწყობას და მათ სწავლებაში გამოყენებას. ჭიათურის მე-2 და რგანის საშუალო სკოლების (სადურგლო, საზეინკლო) და ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლის (სადურგლო) სახელოსნოები მოთავსებულია ბნელ და ტენიან სარდაფებში; საკმაო რაოდენობით არ აქვთ მერქნისა და ლითონის დასამუშავებელი იარაღები, არსებული კი მოუვლელია, ხოლო და-

ნადგარები არ არის დამონტაჟებული. არ არის უსაფრთხოების და საწარმოო სანიტარიის წესები.

ზოდის, რგანისა და ნიგოზეთის საშუალო სკოლების სასწავლო-საცდელი ნაკვეთები სათანადოდ არ არის გამოყენებული სწავლებაში. არ ტარდება პროგრამით გათვალისწინებული საცდელი მუშაობა. ნიადაგის დასამუშავებელი იარაღები (თოხი, ბარი) არ შეეფერება მოსწავლეთა ასაკსა და მათ ფიზიკურ განვითარებას.

სერიოზული ნაკლოვანებებით ხასიათდება მეთოდური მუშაობა მასწავლებელთა შორის რგანის, ნიგოზეთისა და ზოდის საშუალო სკოლებში დღემდე მუშაობს ციკლობრივი მეთოდური კომისიები. ეს მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ ამ სკოლებში ფიზიკას და მათემატიკას ერთი და იგივე მასწავლებლები ასწავლიან. მეთოდგაერთიანების სხდომებზე იშვიათად ეწყობა მასწავლებელთა გამოცდილების ურთიერთ განზოგადება; ნაკლებად იხილავენ პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულ მეთოდურ წერილებს და არ აქცევენ ჯეროვან ყურადღებას უკანასკნელ წლებში განათლების სამინისტროს მიერ დაშვებულ ბრძანებათა შესრულებას ცალკეული საგნების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ფიზიკისა და მათემატიკის საგნობრივი წრეების მუშაობას გააჩნია გარკვეული ნაკლოვანებები. V—X კლასების მოსწავლეები წრეებში ერთად არიან გაერთიანებულნი, რაც აძნელებს მათთვის შესაფერისი თემატიკის შერჩევას. უგულებელყოფილია პრაქტიკული ხასიათის მუშაობა.

ნიგოზეთის და ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლების პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მოსმენილი მოხსენებები, მეოთხედის შედეგების შესახებ ზოგადია, მათში არ არის მოცემული ღრმა ანალიზი ცალკეული საგნების სწავლების მდგომარეობის შესახებ.

შესწავლილი სკოლების ერთ ნაწილში დაბალია მოსწავლეთა აკადემიური წარმატება. რგანის საშუალო სკოლაში შეფასებულ 585 მოსწავლიდან პირველი მეოთხედის ბოლოს ვერ ასწრებს 151 მოსწავლე, ხოლო 53 მეორეწლიანი მოსწავლიდან—12, ჭიათურის საბავშვო სახლის 148 აღსაზრდელიდან, რომლებიც ამავე სკოლაში სწავლობენ, ვერ ასწრებს 26 მოსწავლე; ზოდის საშუალო სკოლაში შეფასებულ 517 მოსწავლიდან ვერ ასწრებს 112, ხოლო 28 მეორეწლიანიდან—11 მოსწავლე.

სკოლების ერთ ნაწილში სუსტად არის დაყენებული დირექტორებისა და მათი მოადგილეების მიერ კონტროლი და ხელმძღვანელობა მასწავლებელთა მუშაობაზე. მათ მიერ მოსმენილი გაკვეთილების ანალიზი უმეტეს შემთხვევაში ზერელეა.

განათლების განყოფილება სათანადოდ არ ადევნებს თვალყურს მის მიერ მიცემულ მითითებათა შესრულებას, რის გამო ნაკლოვანებები სკოლებში კვლავ გამოუსწორებელი რჩება.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

ქ. ჭიათურის განათლების გან-ის გამგემ (ამხ. გ. ცხადიაშვილი);

1. განიხილოს ეს ბრძანება სახალხო განათლების საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე და მასწავლებელთა იანვრის თათბირზე. დასახოს კონკრეტული ღონისძიებანი ბრძანებაში აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად;

2. შეამოწმოს ბრძანებაში დასახელებული სუსტად მომუშავე მასწავლებლები და, თუ ისინი არ უზრუნველყოფენ მუშაობის გაუმჯობესებას, მათ მიმართ მიიღოს ორგანიზაციული ხასიათის ზომები.

3. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს მასწავლებელთა მეთოდურ დახელოვნებას, მათი იდეური, თეორიული და პროფესიული მომზადების მკვეთრ ამაღლებას, ქმედითი კონტროლი განახორციელოს, რათა მასწავლებლები აუცილებლად კითხულობდნენ პედაგოგიურ ჟურნალ-გაზეთებს და დამხმარე ლიტერატურას.

